№ 2373
ხუთშაბათი,
28 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2373
ხუთშაბათი,
28 ივლისი

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

გაზეთი ღირს: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ანცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 10 თვით 5 მან. 75 კაპ. 11 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოაწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა მოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. ხურათეზიანის დამატებით—5 კაპ.**

დიდის სიმწუხარით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ მშობლები **დავით ლევანის ძე და ალექსანდრა მიხეილის ასული, ძმა ლევანი და დები ლიზა, ლიდია და ლილი** ლოლობერიძენი საყვარლის

გესიკოს,

რეალურ სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფის გარდაცვალებას სოფელ აშტარაკში 26 ივლისს. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული, მიცვალებულის გვამის გოჩა-ჯიხაიში გადმოსვენების შემდეგ. (2—302—1).

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი

100,000 მანეთისა.

ყოველი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე **ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაყიდვის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—67)

ტიათურასა და საჩხერეს შუა მატარებელში

დაიკარგა

პორტმანე, რომელშიაც იყო 300 მანეთი (25 მანეთიანები) და სხვა და სხვა დოკუმენტები 3135 მანეთისა. სხვათა შორის, პორტმანეში იყო მოწმობა გუბერნატორისა რევოლვერის ტარების ნება რთვის შესახებ. პოვნელს ვთხოვ პორტმანე წარუდგინოს შორაპანში, რკინის გზის მეოთხე ნაწილის უფროსს, ინჟინერს თავ. თუმანოვს მპოვნელი მიიღებს ასს მანეთს.
(1—301—1) ქუჩა დეკანოსიძე.

ახალი წიგნი

რანი ვიყავით გუშინ?

ისტორიული წერილი იაკობ გოგებაშვილისა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. ფასი ერთი აბაზი. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაგზავნის გურიაში იქაური სახალხო ბიბლიოთეკების შესავსებლად საუკეთესო წიგნებით.
(6—6)

გაიღო რესტორანი ბაღით

„კავკაზი"

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის უკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე.
(15—244—3).

პეტერბურგის ამხანაგობა

„ნადეჟდა"

ტფილისის კანტორა 1 აგვისტოდან გადადის ბ-ნ რატიშვილის სახლში (თავ. ირაკლისეული), სოლოლაკის და ფრეილინის ქუჩების კუთხეში და ოტტენის აფთიაქის პირდაპირ. (3—92—3)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი კანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდროვის ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (80—5.—8)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
26 ივლისი

პორტ-სმუტი, 26 ივლისი. პორტ-სმუტისკენ მომავალმა ვიტტემ სთქვა, რომ მაზე ახირებული შთაბეჭდილება მოახდინა ტოკიოს დეპეშებმა, რომელნიც ამერიკის გაზეთებში იყო დასტამბული და აცნობებდნენ, ვითომც სახალინზე ტყვედ წაეყვანოთ 40 ათასი რუსი; საიდან შეიძლებოდა ამდენის დატყვევება, როცა მეციხოვნე ჯარი 4 ათას კაცს არ სჭარბობსო. „არა მსურს,—სთქვა ვიტტემ,—დავამციროთ იაპონელების წარმატების მნიშვნელობა, მაგრამ თუ ყველა იმ ცნობებს დავუჯერებთ, რაც ტოკიოდან მოდიოდა დაჭრილ-მოკლულებისა და ტყვეების შესახებ, რუსეთს მეომარი აღარ ჰყოლია და სრულებით მეტია ჩემი აქ ყოფნაო".

პორტ-სმუტი. ბოსტონისკენ წასვლისას ვიტტემ მიმართა რუსის კოლონისტებს სიტყვით, რომელთაც დიდის ენტუზიაზმით მიიღეს იგი.

ვლადივასტოკი. ციხის კომენდანტის ბრძანებით აკრძალულია მაგარ სასმელებით ახალ სავაჭროების გახსნა.

ლონდონი, 26 ივლისი. „ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი იუწყება დაწვრილებით ვიტტეს მიღებას ამერიკაში. ვიტტეს პოპულიარობა ყოველ საათში იზრდება. აღმატებულმა ამერიკელმა განაცხადა, ლაფაიეტის შემდეგ, არც ერთ უცხოელს არ დაუპყრია ასე იოლად ამერიკელების გულები, როგორც ვიტტემაო. ხალხის ვეებერთელა ბრბო გაჰკიოდა: „ვაშა ვიტტესა და რუსეთს"-საო. სადილის დროს პრეზიდენტის იახტაზე ყველა სცდილობდა მისალმებოდნენ რუსებს. პრეზიდენტი ფრანგულად ლაპარაკობდა, ვიტტე სწრაფად უპასუხებდა და თავისი მახვილობით სიცილს იწვევდა. ვიტტე და რუზველტი ჩაებნენ მუსაიფში, როზენი და კომურა ზოგჯერ ჩაურთავდნენ ხოლმე თავიანთ შენიშვნებს. კანეკომ განუცხადა კორესპონდენტს, იაპონიის საზოგადო აზრი ომის გაგრძელებისკენ არისო.

პორტ-სმუტი. ვიტტემ უთხრა რეიტერის კორესპონდენტს, გამსჭვალული ვარ ზავის ჩამოგდების სურვილით, მაგრამ ყველაფერი იაპონელებზეა დამოკიდებულიო. მე ყველაფერს გავაკეთებ მიზნის მისაღწევად. თუ ვერაფერი გავაწყე, მაშინ ქვეყანა მაინც დაინახავს, ვინ იქნება პასუხის მგებელი. ვიტტე კატერით წავიდა ვერფზე, სადაც მას მიეგება კონტრ-ადმირალი მიდი. რუსის რწმუნებულთა პატივსაცემლად 19-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი. შემდეგ მოვიდა კატერი იაპონელების რწმუნებულებით, რომელთაც ისეთივე შეღლუხი გაუმართეს. ორივე სახელმწიფო რწმუნებულნი საზღვაო უწყების შენობისკენ წავიდნენ, რომელიც 1000 იარდის მანძილზეა ნავთ-სადგურიდან. მუსიკა ჰიმნით მიეგება.

კოუსი. საფრანგეთის ელჩმა შემდეგი უჰა- [illegible] სთბის სიტყვებმა ღრმად უნდა იმოქმედოს ყოველ ფრანგზე, მაგრამ გასაკვირველი კი არაფერი იქმნება, ვინაიდან ყველამ იცის, რა გრძნობებით ხართ გამსჭვალული, თქვენო უდიდებულესობავ! ჩვენმა სამშობლომ იცის, თუ რა გამოჩენილი ადგილი გეჭირათ თქვენ იმ საქმეში, რომელსაც დაახლოვება მოჰყვა, რაც სამარადისოდ დაუვიწყარი იქმნებაო". შემდეგ ელჩმა სადღეგრძელო დალია მეფე-დედოფლისა. კაიზერმა მადლობა გადაუხადა მეფეს ელჩის სახელით კეთილის სურვებისა და მეგობრულის მიდგომისათვის და რწმენა გამოსთქვა, რომ ეს მეგობრობა საშვილიშვილოდ გადაიცემისო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
26 ივლისი.

ნიუ-კასლი, 26 ივლისი. გუშინ ვიტტე მოვიდა პაკატილოვთან ერთად პორტ-სმუტში და მათ მიეგება შტატის გუბერნატორის სეკრეტარი. სასტუმროში ვიტტეს 500 კაცი ელოდა, რომელნიც პორტ-სმუტში მოსულიყვნენ; ისინი ყვირილითა და ტაშით მიეგებნენ ვიტტეს. ვიტტეს ბოსტონში გაჩერება იმითი აიხსნება, რომ მან საჭირო დეპეშები გაგზავნა პეტერბურგს.

რომი, 26 ივლისი. იაპონელების აქაური მისსიის ცნობით, დროებით ზავზე ხელს მოაწერენ ახლობელ ათის დღის განმავლობაშიო.

პორტ-სმუტი, 26 ივლისი. ვიტტემ უკვე იცის იაპონიის პირობები; ეს პირობები გაცილებით მძიმეა იმაზე, რასაც მოელოდნენ.

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. იაპონიის რწმუნებულნი ორნაირ პირობებს წარუდგენენ რუსებს: ერთში აღნიშნული იქნება ზომიერი მოთხოვნები, თუ იმათ დაუყოვნებლივ მიიღებენ, მეორეში-კი ძნელი, თუ ომის გაგრძელებას მოისურვებენ.

მოსკოვი, 26 ივლისი. ნიკოლაევსკის რკინის გზაზე ორი საქონლის მატარებელი დაიმტვრა სადგურ კრიუკოვოს ახლოს, რამაც მატარებლების მიმოსვლა შეაჩერა.

პიატიგორსკი. წავიდა ბუხარის ემირი ოდესაში.

ორენბურგი. დღეს, 26 ივლისს, ტაშკენტის გზის ჩრდილოეთის ნაწილი შეუერთდა გზების საერთო ქსელს. დაიწყო ყოველ-დღიური მიმოსვლა მატარებლებისა.

სიმფეროპოლი. ნებართვა მოვიდა ბერდიანსკში ალექსანდრე მე-2-ის ძეგლის დადგმაზე.

კოპენჰაგენი, 26 ივლისი. აქ დღეს გაიხსნა სკანდინავიის სახელმწიფოებისა და ფინლანდიის მასწავლებელ ქალთა და კაცთა სიეზდი. სულ მონაწილე 7 ათასია, მათ რიცხვში 300 ფინლანდიიდან.

ბერლინი. მეფე ოსკარის დროებით თავის განებებას სახელმწიფო მართვა-გამგეობისთვის ისე ხსნიან, რომ მას არ უნდა პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს ნორვეგიის საკითხის გადაწყვეტაში. შვეციის პრინცის კანდიდატურის საქმე წინ მიდის.

ბერლინი, 26 ივლისი. „კელნიშე ცაიტუნგ"-ი ამბობს ოფიციალურ შენიშვნაში, მონარქებს არც ბიერკში, არც კოპენჰაგენში არა ჰქონიათ ლაპარაკი ისეთ რამეზე, რაც ინგლისის ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა.

ოდესა. სამხედრო უწყებამ შეიძინა პორტსაიდსა და ადენს შორის სასიარულო ინგლისის გემი „გამბია".

ჰელსინგფორსი. 24 ივლისს მოვიდა აქ ბირილევი და მეორე დღეს დაათვალიერა გემების საშენებელი ვერფები.

მიტავა, 26 ივლისი. რადგანაც აგიტატორები ერთის სოფლიდან მეორეში ადვილად გადადიან ველოსიპედების საშუალებით და მით გაურბიან დაჭერას, ამიტომ გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ ყოველ ველოსიპედისტს უსათუოდ ნებართვის ქაღალდი უნდა ჰქონდეს პოლიციიდან და თავისი ფოტოგრაფიული სურათით.

სმოლენსკი. გუბერნატორის დადგენილების თანახმად, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, პოლიციის უფროსმა ექვსი თვით დაჰკეტა წიგნების მბეჭდავთა საზოგადოება მავნე-მოქმედებისთვის.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. იაპონელები დღემდე მხოლოდ სახალინსა, პრიმორის ოლქის ნაპირებზე, და ვლადივოსტოკის მხარეს მოქმედებენ ბეჯითად, ომის უმთავრეს ასპარეზზე-კი ისევ გაჩერებულნი არიან. მაგრამ, როგორც კორესპონდენტები იუწყებიან, იქაც ბეჯითად ემზადებიან მომავალ ბრძოლისათვის და თუ შერიგება არ მოხდა, მანჯურიაში დიდი ხნის სიჩუმე დაირღვევა და [illegible]

„რუსკოე სლოვო"-ს დეპეშით ატყობინებენ ხარბინიდან: პოზიციებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ჯარი მოლოდინშია. რაც უფრო ახლოვდება ზავზე მოლაპარაკების წამი, იაპონელები მით უფრო ბეჯითად ემზადებიან დიდებულ, გადამწყვეტ ბრძოლისათვის.

„ბირჟევია ვედომოსტი"-ს ატყობინებენ გუნჩჟულინიდან: იაპონელები ბეჯითად განაგრძობენ ნიუჩუანიდან ჯარის მოყვანას და ზარბაზნების მოზიდვას.

„რუს"-ს დეპეშით ატყობინებენ: მანჯურიაში იაპონელები ბეჯითად ემზადებიან ბრძოლისათვის. ჩვენს პოზიციებზე ყოველ დღე ზარბაზნის სროლა ისმის—ეს იაპონელები თავიანთ პოზიციების უკან სროლაში ვარჯიშობენ. პრიმორის ოლქში იაპონელებმა დეკასტრიში გადაიყვანეს ჯარი, სახალინი მთლად დაიჭირეს, კორეიაში ლაზარევის კონცხს იაპონიის ნაღმიანმა გემებმა დაუშინეს ზარბაზანი. ერთის სიტყვით, იაპონელებმა სამხედრო მოქმედება რუსეთის საკუთარ სამფლობელოში გადაიტანეს და რუსეთმა აქამდე სერიოზული წინააღმდეგობა ვერსად გაუწია.

„ნ. ფრ. პრესე"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: ბოლოს დროს იაპონელებს, სხვათა შორის, გამუდმებული წვიმებიც უშლიდა ხელსა. რაწამს კარგი ამინდი დადგება ომის ასპარეზზე, ხელად გავიგებთ, რომ იაპონელები ყველგან, მთელ ფრონტზე, წინ გაილაშქრებენ. იაპონელი სარდლები თავდაპირველად ეცდებიან რუსის არმია ვლადივასტოკს მოსწყვიტონ. მდ. ამურის შესართავის დაჭერა მოასწავებს, რომ იაპონელები მალე ხმელეთზე დიდ სამხედრო ოპერაციებს შეუდგებიან, რასაკვირველია, თუ სტატს-სეკრეტარი ვიტტე თავის დროზე ხელს არ შეუშლის ომის გაგრძელებას. („ო. ნ.").

ვლადივასტოკი. „ძველი პრუსიელი ოფიცერი" სწერს „ფრანკფ. ცაიტუნგ"-ში: ვლადივასტოკს ამ ჟამად იაპონელები ემუქრიან დასავლეთიდან, ჩრდილოეთ-დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, ხოლო სამხრეთიდან რუსის ფლოტის ნაშთის მოძრაობას აღმ. ტოგოს ძლიერი ესკადრა ადევნებს თვალ-ყურს. („რ.").

გენ. ლინევიჩის კითხვა. მანჯურიის დაბრუნებულ რამდენსამე სამხედრო პირს უამბნიათ პეტერბურგში: მთავარ-სარდალმა გენ. ლინევიჩმა შემდეგი კითხვა გაუგზავნა ყველა რუსის ოფიცერს ომის ასპარეზზედ: „ბ.ბ. ოფიცრების აზრით, შესაძლებელია გამარჯვება იაპონელებზე, თუ არაო". რა პასუხი მიიღო მთავარ-სარდალმა ოფიცრებისაგან,—ამაზე არა უთქვამთ-რა. („პ. გ.").

ზავზე მოლაპარაკება. ზავზე მოლაპარაკება კიდეც დაიწყო პორტ-სმუტში, მაგრამ ჯერ მაინც ისეთი არეული, ერთი მეორის წინააღმდეგი ცნობები მოდის მოლაპარაკებაზე, რომ კაცს ვერა გაუგია-რა. ჯერ ისიც კი ვერ შეიტყეს სწორედ, რანაირი რწმუნება აქვს ვიტტეს. „ნაშა ჟიზნ"-ი სწერს: „ვიტტეს რწმუნება და იაპონიის პირობები ჯერ სრულ საიდუმლოებას შეადგენს პრესისათვის, მაგრამ ეს ორი საიდუმლოება ერთსა და იმავე დროს გამოცხადდება. ტელეგრაფმა გადმოგვცა ვიტტეს ცირკულიარული ნოტა პრესის წარმომადგენლებთან. ამ ნოტაში ვიტტე ამბობს: „მე მოველ აქ იმ პირობის გასაგებად, რომელსაც ჩვენი მამაცი მოპირდაპირე საფუძვლად დაუდებს საზავო მოლაპარაკებასაო". მაგრამ თუ ჩვენს რწმუნებულს მხოლოდ მოპირდაპირის პირობის გაგება აქვს დავალებული და იმისი რწმუნება ამაზე შორს არ მიდის, საეჭვოა, რომ ვიტტემ მინდობილ საქმის ასრულება მოახერხოს. რაკი დარწმუნდებიან, რომ რუსეთის წარმომადგენელს შეზღუდული რწმუნება ჰქონია, იაპონელებს შეუძლიანთ, როგორც წინადვე გამოაცხადეს, მოლაპარაკება შესწყვიტონ; მაშინ იაპონიის საზავო პირობა ისევ საიდუმლოდ დარჩება და ისევ მარტო იაპონელებს ეცოდინებათ. მაგრამ არა გვგონია, რომ საქმე ასე წავიდეს. მაშინ რაღა საჭირო იყო მთელის ოკეანის გავლა მხოლოდ იმის გასაგებად,—რასაც იაპონელები იმ თავითვე არა ჰმალავდნენ,—რომ ზავზე მოლაპარაკებას იაპონიის რწმუნებულნი მხოლოდ ისეთ პირთან გაჰმართავენ, რომელსაც საკმაო რწმუნება აქვს მიცემული. ასე რომ იაპონიის პირობის გასაგებად ჩვენი რწმუნებული იძულებული იქნება არსებითად გაარჩიოს ეს პირობები. ცხადია, იაპონელები ჯერ რამდენსამე საზოგადო, პრინციპიალურ პი- [illegible] ხოვენ, რომ რუსეთი სამხედრო საზღაურის გადახდას პრინციპიალურად დასთანხმდეს. საზღაურის რაოდენობას-კი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღნიშნავენ, თუ რუსეთი დასთანხმდება იმათ პრინციპიალურ მოთხოვნილებას. თუ ვინიცობაა არ დასთანხმდება, მაშინ მოლაპარაკება უცებ სწყდება და სხვა სახელმწიფოების თვალში ომის გაგრძელების ზნეობრივი პასუხის გება რუსეთს დაეკისრება. ასევენ მოიქცევიან, მაგალითად, მანჯურიის საქმეშიაც. თუ ვიტტეს უმთავრესად ის აქვს მინდობილი, რომ მთელ ქვეყნიერობას იაპონიის პირობის უზომობა და უდიერობა დაუმტკიცოს და ამით რუსეთს ზნეობრივი სიმპატია მოუპოვოს, უნდა ვსთქვათ, საქმე ისე მიდის, რომ იქმნება ეს იმედიც გაცრუვდეს.

ცნობილ იაპონელ დიპლომატს ბარონ სუემატსუს უთქვამს, სხვათა შორის, „ჟურნალ"-ის თანამშრომლისათვის: რუსეთმა კარგად იცის, რომ სამხედრო ხარჯს ყოველთვის და ყველგან დამარცხებული მხარე იხდის და ვერც რუსეთი აიცილებს თავიდან ამ წესს. რუსეთმა კარგად იცის ეს წესი და რაკი ამერიკაში თავისი რწმუნებულები გაგზავნა, მაშასადამე, ცხადია, სამხედრო საზღაურსაც გადაიხდის. ამას გარდა, რუსეთმა რწმუნებულის გაგზავნამდევე კარგად იცოდა იაპონიის დანარჩენი მოთხოვნილებაც. ამიტომ რუსულ პატრიოტულ გაზეთების „ნოვოე ვრემია"-სა და „მოსკოვ. ვედომოსტი"-ს ლაპარაკი იაპონიის „სიხარბესა" და „უცერემონიობაზე" მეტად სასაცილოაო. („ო. ნ.").

ვაშინგტონიდან ატყობინებენ „რუსკოე სლოვო"-ს: იაპონელებს გადაწყვეტილი აქვთ, რუსებს რომ თავიანთ პირობას წარუდგენენ, თან მოითხოვონ, რომ პასუხი მოკლე იყოს: ან „ჰო", ან „არა"-ო. („რ. ს.")

გერმანიის იმპერატორის რჩევა. „ნაშა ჟიზნ"-ი კიდევ უბრუნდება იმპერატორების შეხვედრას ბიერკეში და ამბობს, ალბად, იმპერატორი ვილჰელმი იაპონიასთან ომის გაგრძელებას ურჩევდა რუსეთსაო.

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, გერმანიის იმპერატორს ძლიერ გულითა ჰსურს იაპონიისა და რუსეთის დასუსტება და ამიტომ რუსეთს უსათუოდ ომის გაგრძელებას ურჩევდა. ვილჰელმი გერმანიის ტრადიციონურ პოლიტიკას განაგრძობს, უნდა რუსეთი ახლო აღმოსავლეთს მოაშოროს და შორეულ აღმოსავლეთში გააბას, რომ ამით გერმანიას ოსმალეთსა და ბალტიის ზღვაში ბატონობა გაუადვილოსო. ვილჰელმმა ეხლავე ისარგებლა რუსეთის ფლოტის მოსპობით და ბალტიის ზღვის ჩაკეტვა მოინდომაო. („ო. ნ.").

ბალტიის ზღვის დაკეტვაზე. გერმანიამ ბალტიის ზღვის დაკეტვა განიზრახა, მაგრამ გაზეთები ირწმუნებიან, ეს განზრახვა ამაო განზრახვად დარჩება, რადგან ინგლისი და სხვა დიდი სახელმწიფოები ამის ნებას არას დროს არ მისცემენ გერმანიასაო. თითონ ბალტიის ზღვის ნაპირებზე მდებარე სახელმწიფოებიც წინააღმდეგნი არიან თურმე გერმანიის განზრახვისა.

დანიის პრესა იშვიათის თანხმობით ამტკიცებს, რომ დანია მედგრად დაიცავს სრულს ნეიტრალიტეტს და არას დროს არ დასთანხმდება ინგლისის წინააღმდეგ შედგენილ ტრაქტატებს, რადგან დანია ერთსა და იმავე დროს დიდ პატივსა სცემს ინგლისს, როგორც პოლიტიკურ თავისუფლების იდეალს და თავის საუკეთესო მუშტარს. ამიტომ დანია არას დროს არ მიემხრობა ვილჰელმ II-ეს, თუ გერმანიის იმპერატორი იმის შემწეობით ბალტიის ზღვის დაკეტვას მოინდომებს. დანიას არც გერმანიის ფლოტის ეშინიან მაინცა და მაინც. გაზეთები იხსენიებენ, რომ დანიას სამი პირველ-ხარისხოვანი სანაპირო ციხე აქვს, რიგიანი პატარა ფლოტი ჰყავს, სხვათა შორის, 30-ზე მეტი ნაღმოსანი, ზღვის ნაპირები კარგად აქვს გამაგრებული წყალ-ქვეშ ჩაწყობილ ნაღმებით და რიგიანი არმია ჰყავსო. („რ.").

„დეილი ქრონიკლ"-ის ბერლინელი კორესპონდენტი შემდეგსა სწერს ბალტიის ზღვის დაკეტვაზე: რაც გინდა ძლიერ მოინდომოს რუსეთმა გერმანიის სიამოვნება, მაინც არას დროს არ დასთანხმდება ბალტიის ზღვის დაკეტვას. აგრეთვე დანიაც ძნელად დასთანხმდება ამ საქმეს, რადგან ბალტიის ზღვის დაკეტვა მხოლოდ გერმანიისათვისაა სასარგებლო და შესამჩნევად შეუწყობს ხელს იმის საზღვაო ძლიერებას. ბერლინის საზოგადოების მომეტებულ ნაწილს ინგლისის ფლოტის მისვლა ბალტიის ზღვაში გერმანიის მტრობის მომასწავებლად მიაჩ-

რიათ. რადა ბალტიის ზღვა აარჩია ინგლისმა თავის ფლოტის მანევრებისათვისაო?—ჰკითხულობენ აქ ყველანი. ალბად, ინგლისი ომს აპირობს გერმანიასთანაო. ინგლისელი აფიცრები გერმანიის სიმაგრეებს დაათვალიერებენ და სხვა და სხვაო. გერმანიაში, ეტყობა, სრულებით, დაავიწყდათ, რომ გერმანიის ფლოტი არა ერთხელ ყოფილა ინგლისის სამხრეთ ნაპირებთან და ირლანდიის ზღვაში. გერმანიის პრესა ეხლა ხმა მაღლა თხოულობს, რაკი ინგლისი ასე გვემუქრება, გერმანიამ თავის მეცადინეობა უნდა გააორკეცოს და ისეთი ფლოტი შექმნას, რომ შეეძლოს მუქარას მუქარით უპასუხოსო. („რ.“).

ინგლისის ესკადრის გაგზავნა ბალტიის ზღვაში. როგორც გაზეთები იუწყებიან, ინგლისი აგვისტოს დამდეგს ძლიერ ესკადრას ჰგზავნის ბალტიის ზღვაში მანევრებისათვისაო. თუმცა ინგლისელები ირწმუნებიან, ესკადრის გაგზავნას არავითარი საიდუმლო აზრი არა აქვსო, მაგრამ ბევრნი დარწმუნებულნი არიან, ინგლისს პოლიტიკურ დემონსტრაციის მოხდენა ჰსურს რუსეთისა და იმის მეგობარ გერმანიის წინაამდეგაო.

ერთს მცოდნე რუს დიპლომატს უთქვამს: მალე რუსეთი და იაპონია ზავზე მოლაპარაკებას დაიწყებენ. ინგლისი, როგორც იაპონიის მოკავშირე, ძლიერ ესკადრას ჰგზავნის ბალტიის ზღვაში, ალბად, იმ აზრით, რომ იაპონიის მოთხოვნილებას მხარი დაუჭიროს. ეს ესკადრა გერმანიის წინაამდეგ-კი არა, რუსეთის წინაამდეგ იგზავნება. ამიტომაცაა, რომ ესკადრა სწორედ ზავზე მოლაპარაკების დროს იგზავნება ბალტიის ზღვაშიო. (ო. ნ.).

ერობა ჩვენში

გაზეთ „სინ ოტეჩ.“-ს მეორე წერილი *) შეეხება იმ ორიოდე ცნობას ჩვენში ერობის შემოღებაზე, რომლისათვისაც გაზეთს ყური მოუკრავს.

უპირველესად აღსანიშნავია, ამბობს გაზეთი, რომ ერობას მთელს კავკასიას არ ჰპირდებიან: იქაური მთავრობა აცხადებს, „დარწმუნებულნი ვართ, რომ საეროებო თვითმმართველობისათვის კავკასიის ერთი ნაწილი სრულიად მზად არის“. აქედან ის უნდა დავსკვნათ, რომ კავკასიის დანარჩენი ნაწილები ადგილობრივ მთავრობას ერობის ღირსად არ მიაჩნია ჯერაო. „სამწუხაროდ, განაგრძობს გაზეთი, ჩვენ არ ვიცით სახელდობრ რომელი ნაწილი კავკასიისა არ მიაჩნია მთავრობას ერობის ღირსად და რა მიზეზით; ვფიქრობთ-კი, რომ ამ შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობა იმავ შეცდარის შეხედულებით ხელმძღვანელობს, რომელიც საზოგადოთ ასულდგმულებს ჩვენს ბიუროკრატიას: ვითომ ჯერ ხალხი უნდა მომზადდეს და მერე უნდა მიიღოს ადგილობრივი თვით-მმართველობა. თითქო თვით ეს თვით-მმართველობა არ იყოს საუკეთესო სკოლა ხალხის განვითარებისა?“

გაზეთის საყვედური სამართლიანია და სწორედ დასაძრახისი იქნებოდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომ ერობა მარტო ერთ რომელსამე ნაწილში დაეწესებინა; მაგრამ, უნდა მართალი აღვიაროთ, არსაიდან არა სჩანს, რომ მართლა ასეთი განზრახვა ჰქონდეს მთავრობას. პირიქით, ნამესტნიკის კანცელარიის მიერ შემუშავებული მოხსენება მთელს ამიერ-კავკასიას იხსენიებს: მოყვანილია მოსაზრებანი ყველა გუბერნიების შესახებ, წარმომადგენლები სამაზრო და საგუბერნიო კრებებისათვის გაწერილია ყველა გუბერნიებზე და სხვა. ამიტომაც აღვნიშნეთ ჩვენ ამ პროექტის შესახებ პირველ წერილში ის სასიამოვნო გარემოება, რომ ერობა მთელს ამიერკავკასიაში იქნება შემოღებული. რაც შეეხება ზემოდ მოყვანილ სიტყვებს კავკასიის უმაღლეს მთავრობისას, ეს, ალბათ, იმ აზრით არის ნათქვამი, როგორც „სინ. ოტეჩ.“-ს გაუგია.

რომ ეს ასეა, რომ ზემოდ მოყვანილი სიტყვა სხვა აზრით იყო ნათქვამი, ამტკიცებს თვით იმ სიტყვის გაგრძელება. აი, რას ვკითხულობთ შემდეგ: „კავკასიის იმ ნაწილისათვის, რომელიც სრულიად მომწიფებულია ერობისათვის, უკანასკნელი იმ წესითა და ფარგლით იქნება შემოღებული, როგორიც მთელის შიდა რუსეთისათვის იქნება დაწესებული; ხოლო დანარჩენ კავკასიაში შემოღებული იქნება სხვა განსაკუთრებული ერობა.“ ამ სიტყვებიდან ის უნდა დავსკვნათ, რომ ერობა ყველგან იქნება შემოღებული, მხოლოდ „მომწიფებულ ნაწილში“ უფრო ფართო და უფრო დემოკრატიული. ეს გარემოება არაფრად მოსწონს პეტერბურგის გაზეთს, რადგან „შემოკლებული“ ერობა ვნების მეტს არაფერს არ მოუტანს ქვეყანასაო.

უკვე „მომწიფებულ ნაწილისათვის“-ო, განაგრძობს გაზეთი, განზრახულია 1864 წლის დებულების შემოღება. მაგრამ ახლა ეს ოდესღაც ლიბერალური თვითმმართველობაც ვერავის დააკმაყოფილებს და უეჭველია კავკასიაშიაც დაიწყება სჯა-ბაასი იმის შესწორება-შევსების შესახებაო. მართლაც, გაზეთი არ სცდება: ჩვენში ყველამ—პრესამ, საზოგადოებამ, დაწესებულებებმა—გამოსთქვეს გადაჭრით, რომ 1864 წლის ერობა ჩამორჩა ცხოვრებას და ახლა უფრო ფართო და უფრო დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა არის საჭიროო... ჩვენს გაზეთშიაც არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ 1864 წლის ერობას არ ძალუძს ჩვენის საქმეების მოწესრიგება და რომ ნამდვილი თვითმმართველობა მაშინ განხორციელდება ჩვენში, თუ შემდეგი პრინციპები იქნება დაცული: 1) არჩევნები საყოველთაო, 2) ერობის კომპეტენცია რაც შეიძლება ფართო (ადგილობრივი ადმინისტრაცია და საპოლიციო, სწავლა-განათლების მთელი საქმე და სხვა), 3) ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლობა, 4) მცირე საეროებო ერთეულის შექმნა და 5) საქართველოს (საოლქო) ერობის დაწესება. ამ პრინციპების ერობის დაწესებას, ვიმეორებთ, ბიუროკრატია ვერ მოახერხებს და ამიტომ ყოველივე ისევ იმისგან არის დამოკიდებული, თუ როდის და როგორ განხორციელდება ის დიდი პოლიტიკური რეფორმა, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელის მთელი რუსეთი.

კოლლექტივიზმი და კერძო ინიციატივა.

(თარგმანი)

თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილების დამცველნი ირწმუნებიან, რომ შრომისა და საკუთრების განსაზოგადოება აჰლუნგებს პირად ინტერესის სტიმულს და ამიტომ ამცირებს პირად ინიციატივას და საწარმოვო ენერგიასაო. „ასეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციის მონას“ ისინი წინ უყენებენ „თავისუფალ კაცს“, მესაკუთრე გლეხს, დამოუკიდებელ მწარმოებელს, ერთის სიტყვით, იმათ, ვინც თავისთვის შრომობს, თუნდაც ეს შრომა მძიმე და ხანგრძლივიც იყოს.

ჯერ ერთი—სოციალისტებს სულაც არ დაუსახავთ მიზნად შრომის საკუთრებისაგან განცალკევება, პირიქით, ისინი სცდილობენ მათ შეერთებას იქ, სადაც შრომა და საკუთრება ერთი-ერთმანეთს დაშორებულია. იმათ უნდათ კაპიტალისტურ საკუთრების ექსპროპრიაცია, ხოლო წვრილ მესაკუთრე—მწარმოებლებს, თუ-კი მათ არა სურთ, ძალად როდი ახვევენ კოოპერაციას.

მაგრამ ამასთან ისინი აღნიშნავენ—და ამისი მოწმე კაპიტალისტური კონცენტრაცია—ინდივიდუალურ შრომის უვარგისობას ნაწარმოების უმეტეს ნაწილში, მრეწველობის ყველა იმ დარგში, რომელიც უმთავრეს მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. რაც უნდა კარგი იყოს კერძო ინიციატივა, იგი მნიშვნელობას ჰკარგავს მას შემდეგ, როცა კაპიტალისტური წარმოება ანაწილებს შრომას რამდენსამე მექანიკურ ოპერაციად, ზღუდავს მინიმუმამდე თვითეულის პროფესიონალურ ნიჭს, ხოლო დაქირავებულ მუშებს უტოვებს შრომის სტიმულად მხოლოდ შიშს დათხოვნისა ან დაჯარიმებისას თუ დღიურია მუშა, ან ნახევრად დამშევის შიშს, თუ იგი ნაჭრობით მუშაობს. მაშინ ინიციატივა ჰქრება, როგორც ნაზი ყვავილი ვეებერთელა ხის ქვეშ.

განვითარების ამ საფეხურზე ინიციატივაც იმავე კონცენტრაციის პროცესს ექვემდებარება, რომელსაც ექვემდებარება წარმოება და საკუთრება. იგი მთლად გადადის კაპიტალისტის ხელში და რჩება იმასთან იმ დრომდე, სანამ თვითონ განაგებს წარმოების საქმეს. იმასა რჩება მთელი მოგება, მაგრამ მასვე აწევს საქმის გამგეობის მთელი სიმძიმე. თუმცა ისიც მართალია, რომ კაპიტალისტი უმეტეს ნაწილად ბოროტად და ურცხვად ხმარობს თავის განუსაზღვრელ უფლებას, მაგრამ მეორე მხრით, თუ სინამდვილის ფაქტების წინაამდეგ არ წავალთ, ვერც იმას ვიტყვით, რომ ისინი მხოლოდ მუქთა ხორები, პარაზიტები იყვნენ.

კაპიტალისტი თანამედროვე კაპიტალისტურ წეს-წყობილებაში,—ამბობს Charles Gide,—არ არის უბრალო მყიდველი და გამყიდველი სამუშაო ძალისა,—იგი მიმართულებას აძლევს ამ სამუშაო ძალას, აწესრიგებს წარმოებას და მით საძირკველს უყრის წარმოების მომავალ, უმაღლეს ფორმას. იგი ანაწილებს სამუშაოს და მით მაღლა სწევს მომუშავის სასარგებლო მოქმედების მაქსიმუმს. კაპიტალისტი აწესრიგებს, აძლევს მიმართულებას არა მარტო სამუშაო ძალას, არამედ წარმოების ყველა ფაქტორს—კაპიტალს, მიწას, შენობას,—რომელიც ხშირად იმას არც-კი ეკუთვნის ან ეკუთვნის მხოლოდ ნაწილი. საზოგადოების მოთხოვნილებათა გამოვარაუდება, ამ მოთხოვნილებებთან წარმოების შეთანხმება, გაგება მისი, თუ საითკენ უნდა მიეცეს მსვლელობა ქვეყნის შრომასა და კაპიტალის შეერთებულ მოქმედებას,—აი, რა შეადგენს კაპიტალისტის ფუნქციას.

რომ ეს ფუნქცია აუცილებლად უნდა შესრულდეს, ეს თავის თავად ცხადია. მაგრამ, როგორც ვიცით, კაპიტალისტებიც, ისე, როგორც მესაკუთრე—მიწათ-მფლობელნი, თანდათან ითავისუფლებენ თავს საქმის გამგეობისაგან და ამ ფუნქციას აბარებენ დაქირავებულ დირექტორებს. ჯერ კიდევ 1836 წელს ა. იურემ—ინგლისელ მეფაბრიკეთა „პინდარმა“, როგორც მარქსი ეძახოდა აღნიშნა, რომ „ჩვენი მრეწველობის სისტემის სული“ კაპიტალისტები-კი არა, მათი მმართველები არიანო. უფრო საფუძვლიანია ეს აზრი ახლა, როცა მრეწველობის უმეტესი ნაწილი ხელში ჩაიგდეს უსახელო საზოგადოებებმა. რასაკვირველია, სიმდიდრის დასაწყისში ან წარმოების პირველ ხანაში ჯერ კიდევ ვხედავთ კერძო ინიციატივას, მაგრამ რაკი სიმდიდრე შექმნილია ან წარმოება გაჩაღებული, ესენი შემდეგ თავისით ვითარდებიან, განაგრძნობენ მსვლელობას ერთხელვე გარკვეულ მიმართულებით კაპიტალის გაზრდის, სხვისის შრომისა და ნიჭის ექსპლოატაციის მეოხებით, მაშინ მეტადრე როცა საქმე მემკვიდრეების ხელში გადავა, კაპიტალის პატრონთა პირადი ინიციატივა სრულიად ისპობა და იმის ალაგს იჭერს უსახელო საზოგადოების ბიუროკრატიული მართვა-გამგეობა.

მაგრამ წარმოების ასეთს ფორმაში თავს იჩენს ხოლმე კოლლექტიური მფლობელობის დიდი უპირატესობა კერძო მფლობელობასთან შედარებით. მეორე მხრით, ყველა თანახმაა იმისი, რომ კერძო საწარმოვო დაწესებულებანი (предпріятія) ვერაფრით ვერ სჯობიან საზოგადო საწარმოვო დაწესებულებათ.

თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში ის დარგები წარმოებისა, რომლებსაც განაგებს სახელმწიფო, მიუხედავად მათის ორგანიზაციის ნაკლულევანებისა, ინდუსტრიის მხრით არ ჩამოუვარდება კერძო კომპანიების წარმოებას. ამ უკანასკნელთა წარმოება წინ უსწრებს სახელმწიფოს წარმოებას მხოლოდ კომერციის მხრით. როცა კონკურენცია აიძულებს მრეწველთ, მუშტრის მისაზიდავად ან მეტოქეს დასამარცხებლად მიმართონ ათასნაირ რეკლამას, ხრიკსა და ინტრიგას, მაშინ სახელმწიფოს ადვილად ამარცხებენ კერძო საზოგადოებანი. მაგრამ კერძო მრეწველთა ამ უპირატესობას დიდი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა მოგებაზეა ლაპარაკი, ხოლო თუ მხმარებელთა ინტერესების უზრუნველყოფას მივიღებთ სახეში, მაშინ ეს უპირატესობა მნიშვნელობას ჰკარგავს.

მაგრამ კოლლექტივიზმსაც ხომ სწორედ ეს უკანასკნელი აქვს მხედველობაში: ეს არის—შრომის საზოგადო ორგანიზაცია, რომელსაც აზრადა აქვს არა გასაცვლელ, არამედ სახმარ ღირებულობათა შექმნა ვით მწარმოებლებლების მოთხოვნილებათა პირდაპირ დასაკმაყოფილებლად. თუ ახლაც არ დაუვარდება სახელმწიფო მონოპოლია კერძო კომპანიებს, ჩვენ დიდი საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ შრომის საზოგადო ორგანიზაცია, რომლის დროსაც საწარმოვო ენერგია და კერძო ინიციატივა არა თუ არ შემცირდება, კიდევაც გაძლიერდება, სწრაფად განავითარებს წარმოებას, რომელიც ახლა შეკრულია კაპიტალიზმის ჯაჭვებით. დასამტკიცებლად ეს საკითხი გავარჩიოთ ორის—ტეხნიკისა და მართვა-გამგეობის—მხრივ.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბავი

◆ „რ. ს.“-ში დაბეჭდილია დეპეშა ტფილისიდან, **მომავალ სახალხო სკოლის შესახებ.** ავტორის სიტყვით, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს გადაუწყვეტია საზოგადო რეფორმამდე სასკოლო საქმე თვითონ ხალხს გადასცეს. ნამესტნიკის მიერ დამტკიცებულ პროექტით, სოფლის საზოგადოებებმა უნდა შეადგინონ სამზრუნველოები, რომელნიც აარჩევენ მასწავლებლებს და სწავლების მეთოდსა და ენას. ჯერ არ გადაწყვეტილა საქმე სომეხთა საეკლესიო სკოლების შესახებ. ფიქრობენ, სკოლები ისევ ეკლესიებს დაუბრუნონ და სასოფლო საქმის თვალყურის ჭერა სამოსწავლო ოლქს მიანდონ. მაგრამ მზრუნველი წინაამდეგია ამისა, რადგან ასეთი და მეჩეთის სკოლები, სემინარიები და სასულიერო აკადემიები განათლების სამინისტროს არ ექვემდებარებიან და რადა მარტო სომხის საეკლესიო სკოლები უნდა დაუქვემდებარონო. თავში დეპეშის ავტორი სწერს, რომ დიდი ცილობაა ენის შესახებ; მეგრელისთვის, მაგ., ქართული ენა დედა ენა-კი არა, მონათესავე ენააო. ავტორს, ალბად უვიცობით, უნდა სთქვას, რომ სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა არ უნდა იყოსო.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავს კავკასიის ნამესტნიკმა ნება არ დართო აცნობოს საბჭოს მოსკოვში 6 ივლისს მომხდარ **ქალაქისა და ერობის წარმომადგენელთა კრების ამბავი,** რადგანაც ეს კრება ოფიციალურად ნება დართული არ იყოო.

◆ გორისმაზრის სოფელ ახალქალაქსა და მის ახლო-მახლო **მემამულეთა და გლეხთა დამოკიდებულება ძალიან გამწვავებულა.** როგორც გვატყობინებენ, რამდენიმე დღეა სოფლებში ყაზახთა ეგზეკუცია ჩაუყენებიათ და მათი შენახვა ხალხისთვის დაუკისრებიათ. ამას წინად სადგურიდან ეტლით მიდიოდნენ სამოსამართლო პალატის წევრი დოლგოვი და ადგილობრივი მემამულე. მგზავრებს ვიღაც კაცი დახვედრია, იარაღი აუცლია და წასულა.

◆ **ქუთაისის ახლად დანიშნული გუბერნატორი ვ. ა. სტაროსელსკი** ჩერნიგოვის გუბერნიის აზნაურია. იგი ამ ჟამად 43 წლისაა. 1885 წელს დაამთავრა პეტროვო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემია და იმ წელსვე დაინიშნა ჩერნომორსკის ოლქის აგრონომად, სადაც იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მიწათ მფლობელობისა და რუსეთიდან გადმოსახლებულთა საქმის შესწავლა-გამოკვლევას. 1890 წელს დაინიშნა ქუთაისის გუბერნიაში აგრონომად და მას აქეთ 15 წელიწადი იქა მუშაობს. ამ ხუთმეტი წლის განმავლობაში ბ. სტაროსელსკიმ ზედ მიწევნით შეისწავლა დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა და ზნე-ჩვეულება. ბ-ნ სტაროსელსკის მოღვაწეობა გამოიხატა მევენახობისა და მეღვინეობის აღორძინებით. ამ 10-12 წლის წინად ჩვენ მიწის მუშას და მემამულეს შიშის ზარი დასცა ვენახის მტერმა ფილოქსერამ, რომელ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც. № 2871.

ფელეტონი

სახალხო განათლება შვეიცარიაში.*)

იმ ძირითად ცვლილებებს, რომელთაც დღითიდღე მოველით რუსეთის ცხოვრებაში, აუცილებლად უნდა მოჰყვეს სწავლა-განათლების რეფორმაც. ამისათვის საინტერესოდ მიგვაჩნია მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს, თუ როგორაა ეს საქმე მოწყობილი შვეიცარიაში, რომელიც ამ მხრივ სამართლიანად ითვლება მოწინავე ქვეყნად. შვეიცარია ჩვენთვის მით უფრო საინტერესოა, რომ იგი ძალიან წააგავს ჩვენს ქვეყანას არა მარტო ბუნებით, არამედ მკვიდრთა სხვადასხვაობითაც. თუ თავისუფლება ჩვენც მოგვენიჭა, ცხადია, რომ სწავლა-განათლების საქმეში დედამიწაზე უკეთესს წასაბაძ ქვეყანას ვერ ვიპოვნით. პატარა შვეიცარიამ, რომელიც სივრცით ბევრად უფრო ნაკლებია რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაზე, სწავლა-განათლებით ბევრ ბუმბერაზ სახელმწიფოს წაუსწრო და მთა-კლდიანი, ხრიოკი ადგილები ედემად აქცია.

* *

„შვეიცარია,—ამბობს ერთ, ინგლისური ჟურნალი („დეილი მეილ“ 1903 წ.) ის საინტერესო ქვეყანაა, რომელმაც უკვე გადასწყვიტა საკითხები, რომელზედაც ჯერ კიდევ თავს იმტვრევენ სხვა ხალხები“.

„სწავლა შვეიცარიაში სრულიად თავისუფალია, სავალდებულო, დამყარებული ჭეშმარიტ ნიადაგზედ“.—განაგრძობს იგივე ჟურნალი.

„ჩვენში,—ამბობს ერთი შვეიცარიელი მოღვაწე,—უმაწვილები ღარიბები იბადებიან, მაგრამ ის-კი ჩვენ ხელთაა, რომ მათ სულიერი სიმდიდრე შევძინოთო“.

თუ სადამდის მიდის შვეიცარლების ზრუნვა სწავლა-განათლებისთვის, იქიდან დაინახავთ, რომ ეს პატარა ქვეყანა (3,325,000 მცხოვრები) ყოველ წელს სკოლებზე ხარჯავს 55.724,250 ფრანკს ანუ 22 მილიონ მანეთს, რაც თვითეულ მცხოვრებზე შვიდ მანეთს შეადგენს. რუსეთმა რომ შვეიცარიასავით გაიმეტოს ფული, მაშინ აქ სწავლა-განათლებაზე უნდა იხარჯებოდეს 980 მილიონი მანეთი. ნამდვილად-კი 100 მილიონზე ბევრად ნაკლები იხარჯება.

კონსტიტუციის მე-27 მუხლის ძალით, შვეიცარიაში სწავლის საქმე დავალებული აქვს კანტონებს. თუ რა გულმოდგინედ ეპყრობიან კანტონები თავიანთ წმინდა მოვალეობას, იქიდან დაინახავთ, რომ 1874 წლამდის მთავრობასაც არ მისცეს ნება ჩარეულიყო ამ საქმეში. მაგრამ, რადგან კანტონებში სხვა და სხვა პროგრამით მუშაობდნენ და, გარდა ამისა, ზოგ სკოლას სასულიერო პირნიც განაგებდნენ, ფედერატიულმა მთავრობამ საჭიროდ დაინახა: 1. შეეტანა სწავლის საქმეში ზოგიერთი საზოგადო პრინციპი; 2. გაეერთიანებინა პროგრამა და 3. დაემორჩილებინა სკოლა მარტო სამოქალაქო უწყებისათვის. ამისათვის მან დააწესა სალდათად ახლად გაწვეულთა გამოცდა. ამ გამოცდაზე კანტონებმა ცხადად დაინახეს ზოგიერთ პროგრამის უვარგისობა, ამიტომ შეთანხმანი გახდნენ მთავრობაც ჩარეულიყო საქმეში. ეს მოხდა 1875 წელს. 1903 წლიდან-კი ფედერატიულმა მთავრობამ გადასწყვიტა, ყოველ წლივ განსაზღვრული შემწეობა აღმოუჩინოს ყოველ კანტონს (60 პენსი თვითეულ სულზე, ღარიბ კანტონებს-კი (შვიც, ური, ობერვალდენ და სხ.) 20 პენსით მეტი). ეს შემწეობა იმ აზრით აღმოუჩინა კანტონებს, რომ სკოლების საქმე გაუმჯობესდეს და თვით კანტონების ხარჯი-კი არ შემცირდეს.

თუმცა თვითოეულ კანტონს თავისი შესაფერისი კანონები აქვს და ისე აწყობს საქმეს, როგორც უნდა, მაგრამ საზოგადოდ ყველგან შვეიცარიაში ყმაწვილს ასწავლიან 6—7 წლიდან და განაგრძობენ 15—16 წლამდე (სახალხო სკოლაში). რაც შეეხება სწავლის დროს, დიდი განსხვავებაა სხვა და სხვა კანტონებში; ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ბუნებაა ამა თუ იმ ადგილას. მაგ. კანტონ გრაუბინდენში ბავშვები სწავლობენ 24 კვირის განმავლობაში (მთიანი ადგილია), ურიში—30 კვირას. ვალისში—6 თვეს, სამაგიეროდ კანტონ გლარუში სწავლა გრძელდება 44 კვირას, ნეიენბურგში—46 კვირას, აპპენცელში—48 კვირას.

1901 წელს შვეიცარიაში არსებობდა 3,528 საზოგადოება (თემი), რომელსაც ჰქონდა 4,667 სკოლა. ამ სკოლებში ასწავლიდა 10,538 მასწავლებელი და სწავლობდა 472,607 მოწაფე, რომელთაგან 235,585 ვაჟი იყო და 237,022 ქალი. ამას უნდა დავუმატოთ 155 კერძო სასწავლებელი, რომელშიაც 188 მასწავლებელი და 5,175 მოწაფე იყო. ამ კერძო სასწავლებლებზე იმავ 1901 წელს დახარჯულა 35 მილიონი ფრანკი ანუ 13 მილიონი მანეთი.

დამატებითი ანუ განმარტებითი სკოლები

გარდა პირველ დაწყებით სკოლებისა, რომელთა კურსი გრძელდება 6—8 წელიწადს, შვეიცარიაში ბევრია ეგრედ წოდებული Repetiorschule ანუ განმეორებითი სკოლები. ამათ აზრად აქვთ მოამზადონ ახალგაზრდანი სარეკრუტო ეგზამენისათვის, რომელსაც შვეიცარიაში დიდ ყურადღებას აქცევენ. განმეორებით სკოლების კურსი გრძელდება ორ წელიწადს, აქ სწავლობენ ისინიც, ვისაც სხვა და სხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ ისწავლოს უფრო მაღალ სასწავლებელში. სწავლა სავალდებულოა ზოგიერთ კანტონის განმეორებით სკოლებშიაც. კონსტიტუციის მე-27 მუხლის თანახმად, როგორც პირველ დაწყებით, განმეორებით სკოლებში სწავლა უფასოა. ზოგ ადგილას უფრო შორსაც მიდიან, მაგ. ბაზელსა და ციურიხში უფასოდ ასწავლიან არა მარტო სახალხო სკოლებში, ყველა სხვა სასწავლებლებშიაც, გარდა უნივერსიტეტისა. უფასო სწავლასთან ერთად ზოგიერთ კანტონში სასწავლო ნივთებსაც უფასოდ ურიგებენ მოწაფეებს. ამის მაგალითად მოგვყავს იგივე ბაზელი და ციურიხი, სადაც არა თუ პირველ დაწყებითი, არამედ ყოველ გვარ სკოლაში უფასოდ ურიგებენ მოწაფეებს 14—15 წლამდე, ესე იგი, კურსის შესრულებამდე, ქაღალდს, კალმებს, რვეულებს, წიგნებს, ატლასებს და სხვას.

სხვა და სხვა დაწესებულებანი შეუძლო ყმაწვილთათვის.

სახალხო სკოლებისა და იქ მყოფ მოწაფეთა გარდა, შვეიცარელები დიდ ზრუნვას იჩენენ საზოგადოდ ყველა გაჭირვებულ, ფიზიკურად თუ სულიერად ავადმყოფ და უპატრონოდ დატოვებულ ყმაწვილთადმი. ამისთანებისათვის შვეიცარიაში არსებობს მრავალი თავშესაფარი, სადაც ყმაწვილებს აწვდიან გულისა და სულის კამართობელ ცოდნას და ვარჯიშობას. დიდ ქალაქებში და, საზოგადოდ, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, არის განსაკუთრებული თავშესაფრები, სადაც უვლიან და ართობენ ღარიბთა შვილებს იმ დრომდე, სანამ მათი მშობლები სამუშაოდ არიან წასული და არა სცალიათ. იმ ყმაწვილთათვის, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 6—7 წელიწადი, შვეიცარიაში არსებობს მრავალი ეგრედ წოდებული ფრებელის ბაღი, (767). ამ ბაღებში, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, იმავე სკოლებში, 1901 წელს მოთავსებული იყო 40,000 ყმაწვილი. ამას ხელმძღვანელობდა 966 მასწავლებელი. ბაღების შენახვაში მთავრობაც იღებს მონაწილეობას.

გარდა სწავლისა და გართობისა, სხვა და სხვა თავშესაფარში ღარიბებს მატერიალურადაც ეხმარებიან, მაგ. ლიუცერნის კანტონში 1900—91 წ. საზოგადოებას დაუხარჯავს 28,639 ფრანკი მოწაფეების საუზმეზე. ბაზელშტადის კანტონში იმავ 1901 წ. 3,247 ღარიბ მოწაფეს დაურიგეს 12,565 მეტრი მატერია ტანისამოსისათვის. ამასთანავე 905 ყმაწვილს დაურიგეს ფეხსაცმელი და დაუკერეს ტანისამოსი; იმავ წელს შეუძლო ოჯახის შვილებს დაურიგეს 1,087 კერძო წვნიანი საჭმელი: ჟენევაში 1901 წლის ზამთარს ექვს სკოლის სამზარეულოდან დაურიგდა ღარიბ მოწაფეებს 60,849 სადილი და 26,026 ვახშამი. კანტონ ბერნში იმავე აზრით საზოგადოებამ დახარჯა 103,229 ფრანკი. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ამ ბოლო დროს, პასტორ ბიონის თაოსნობით, დაწესდა ღარიბ და ავადმყოფ ყმაწვილთათვის საზაფხულო კოლონიები. თუ როგორ წავიდა ეს საქმე, იქიდან დაინახავთ, რომ 1901 წ. შვეიცარიის მთელში გამართული იყო კოლონიები 3,732 ყმაწვილთათვის, რომლებზედაც დახარჯეს 120,825 ფრანკი. აქვე შევხვდებით მრავალ სანატორიას, რომელთაც აზრადა აქვთ, დასუსტებულ და დასნეულებულ ყმაწვილთ სიმთელე მოუპოვონ. ყველა ამას გარდა, შვეიცარიაში არსებობს 53 სპეციალურად მოწყობილი სკოლა ჩამორჩენილ (სუსტ-ნიჭიან) ყმაწვილთათვის. ამ სკოლებში 1901 წელს სწავლობდა 748 მოწაფე (38 ვაჟი და 361 ქალი). უსინათლოთათვის შვეიცარიაში არსებობს—10 სკოლა, მუნჯთათვის—16. ამ სკოლებში 1901 წელს სწავლობდა 776 უსინათლო, ყრუ და მუნჯი. არის ისეთი სასწავლებლებიც, სადაც ენა-ბლუებს უსწორებენ ენას.

სეკუნდარული სკოლები

შვეიცარიაში არსებობს აგრეთვე ეგრედ წოდებული სეკუნდარული სკოლები (scole secu

---

*) ამ სათაურით ჟურნალ „Извѣстія по народному образованію“-ში 1905 წლის მაისის №-ში დაბეჭდილია დ. პოზდნეევის ვრცელი წერილი, რომლითაც ვისარგებლე ამ ფელეტონის შედგენის დროს. ავტორი.

მაც გაანადგურა თითქმის უმეტესი ნაწილი იმერეთის ვენახებისა. ყოველგვარმა საშუალებამ, რაც მთავრობამ იღონა ფილოქსერის წინააღმდეგ, ამაოდ ჩაიარა. ბოლო, 1892 წელს მთავრობამ მოიწვია ევროპის საუკეთესო სპეციალისტ-მეცნიერნი და სთხოვა ადგილობრივად გამოერკვიათ, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლა და მევენახობის ნსაცდელიდან ხსნა. მეცნიერთა კომისიამ ბ-ნ სტაროსელსკისთან ერთად დაათვალიერა ზემო იმერეთის ვენახები, გაიცნო ადგილობრივ მევენახეობის სისტემა და შემდეგ აცნობა პეტერბურგში მთავრობას, რომ ამიერ-კავკასიის მევენახეობა უნდა გამოესალმოს წუთისოფელსაო. ევროპაში ერთად-ერთ საშუალებად ფილოქსერასთან საბრძოლველად შემოღებულია ამერიკულ ვაზზედ დამყნილი ვაზი, რაც შეუძლებელია ადგილობრივ მცხოვრებთათვის და რაც დიდს ხარჯს გამოიწვევსო. უფრო სასარგებლო იქნება ქართველებისათვის ვენახის მაგიერ ქამენი (РОМАШКА) გააშენონ და სხვა. კომისიის აზრს წინააღუდგა ბ-ნი სტაროსელსკი და აღუთქვა მთავრობას, რომ ქართველები სულ მოკლე ხანში შეითვისებენ იმას, რაც სპეციალისტ-მეცნიერთ შეუძლოდ მიაჩნიათო. პეტერბურგის მთავრობა ბოლოს დარწმუნდა, რომ ბ-ნი სტაროსელსკი მართალი იყო.

ამ ათი წლის წინად რუსეთში ერთ ძირს ამერიკულ ვაზზე დამყნილ ვაზს ვერ იშოვნიდით, დღეს კი მარტო ქუთაისის გუბერნიაში რამდენიმე ათას ქცევაზეა გაშენებული. ბ-ნ სტაროსელსკის მოღვაწეობამ დიდი დახმარება გაუწია წვრილ მემამულე მუშას, რომელმაც ზედ მიწევნით შეითვისა რაციონალური მევენახობა, რაც შედეგია ბ-ნ სტაროსელსკის შრომისა. მას არა ერთხელ დაუპირა მთავრობამ უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა, მაგრამ იგი უარზე იდგა და არ უნდოდა დაწყებულ საქმისთვის თავი დაენებებინა.

ბ-ნი სტაროსელსკი შესამჩნევ მონაწილეობას იღებდა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაშიაც. მას აქვს შედგენილი რამდენიმე წიგნი მევენახეობის შესახებ; ზოგი ქართულადაც არის გადმოთარგმნილი. მისი სტატისტიკური გამოკვლევა შორაპნის მაზრისა (თითეულ კომლობით) დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენის სასოფლო მეურნეობის სტატისტიკაში. ბ-ნი სტაროსელსკი მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო კრებაზე, როგორც მცოდნე და დამცველი და სხვა. ბ-ნი სტაროსელსკი ამ ორი წლის წინად ქუთაისის სასოფლო სამეურნეო კომიტეტში იცავდა ერობის შემოღებისა, მუნჯურ მეთოდის გაუქმებისა და ქართული ენის შემოღების საქმეს. ბ-ნმა სტაროსელსკიმ დაიტოვა უფლება, თუ მოისურვებს, ექვსი თვის განმავლობაში ისევ თავის ძველ ალაგზე დაბრუნდეს.

◆ **ალექსანდრე ყიფშიძემ**, რომელსაც ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად ნიშნავენ, განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა და გაათავა სფილოლოგო ფაკულტეტი. სახელმწიფო სამსახური დაიწყო 1888 წელს, როდესაც იგი ტფ. საგუბერნიო სავლეხო საქმეთა საკრებულოს მდივნად დანიშნეს. 1900 წელს იგი ახალციხისა და ახალ-ქალაქის მომრიგებელ შუამავლად დანიშნეს, ხოლო შარშან ტფილისის საგუბერნიო გამგეობის წევრად გადმოიყვანეს. ალექსანდრე ყიფშიძეს, როგორც მწერალს, ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს, რადგან თხუთმეტ-თექვსმეტი წელიწადია, რაც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობს. ბ-ნ ყიფშიძეს ეკუთვნის პუბლიცისტური და ისტორიული წერილები. სხვათა შორის, ცალკე წიგნად გამოცემულია იმისი „მთიულეთი“.

◆ ინგლისელთა სააქციონერო საზოგადოებას, რომელსაც სახელად „სამხრეთ-რუსეთის ნავთის-მწარმოებელი საზოგადოება“ ჰქვიან, უმაღლესად ნება მიეცა შეუდგეს **ნავთის წარმოებას თიონეთის მაზრაში.** საზოგადოდ, ტფილისის გუბერნიასა და მთელს კავკასიაში საქმის საწარმოებლად საზოგადოებას ერთი მილიონი მანეთი გადაუდვია.

◆ საცენზურო კომიტეტმა შემდეგ **ახალ პიესების წარმოდგენის ნება დართო:** თავადი შიო“, შ. არაგვისპირელისა, „ფულის მსხვერპლი“, კომედია 3 მოქმ. თარგმ. სომხურიდან ა. ბაქიაშვილისა და „გამოგონება“ ფარსი, თარგ. ნ. ბერიძისა.

◆ სოხუმის ოლქის **აფხაზთა დეპუტაციას**, რომელიც ამას წინად ნამესტნიკთან იყო, უთხოვნია მეჩეთის აგების ნებართვა. ნამესტნიკს შეუწყნარებია თხოვნა.

◆ თავ. ზ. ჭავჭავაძესთან ერთად კახეთში **გლეხთა დასამშვიდებლად გაგზავნილი** გენერალი სტახოვიჩი უკვე დაბრუნდა ტფილისს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობისა, ხმოსან-ტეხნიკოსებისა და ტრამვაის მეთვალყურე კომისიისაგან შემდგარმა კრებამ 26 ივლისს განიხილა პროექტი **ნავთლუღში ტრამვაის გაყვანის** შესახებ. კრებამ დაადგინა, ნება მიეცეს უსახელო საზოგადოებას გაიყვანოს ტრამვაი, რამდენადაც შესაძლებელია, ქუჩების შუა გულზე. თუ საჭირო იქნება მოსახვევებზეც გზის გაყვანა, მაშინ გამგეობას უფლება აქვს პროექტი შესცვალოს. ამავე დღეს კრებამ განიხილა პროექტი ციციანის აღმართზე ლიანდაგის გაყვანის შესახებ და დაამტკიცა ორ ლიანდაგიანი გზის პროექტი. დასთანხმდა ერთ ლიანდაგიან პროექტზედაც, იმ პირობით, თუ გზას გაიყვანენ ლობარევის, იორისა და ველაბრის ქუჩებზე. რაც შეეხება ციციანის აღმართის გაფართოვებას, ამ საკითხის გადაწყვეტა კრებამ გამგეობას დაავალა.

◆ **ტფილისის პოლიცმეისტრად** დანიშნული ცისსი გუშინ, 27 ივლისს, თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ **ტფ. პოლიცმეისტერმა ბრძანებანი დაუგზავნა** ბოქაულებს და დაავალა, მეტი ყურადღება მიაქციონ პოლიციის უმცროს მოხელეებს, რადგან მათის უმოქმედობისა გამო ქურდობა და ავკაცობა გახშირდაო.

◆ **ზემო-ქართლში დიდი წვიმები** მოსულა ამ დღეებში. როგორც გვატყობინებენ, ბევრგან დიდი ნიაღვრები მოვარდნილა.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა პოლიცმეისტრის შუამდგომლობა ფულით შემწეობა აღმოეჩინოთ იმ პოლიციელთ, რომელნიც ამას წინად **ყუმბარების ხროლით დაშავდნენ.**

◆ როგორც ვწერდით, **წალკას-წყაროების** დასათვალიერებლად წავიდა ხმოსანთა ჯგუფი. ხმოსნები ოთხს დღეს მოუნდნენ მგზავრობას. ამ ექსკურსიისათვის ქალაქის კასიდან 128 მან. დახარჯა.

◆ ვორონცოვკაში **სრულიად რუსეთის მოლოკანთა კრება** დასრულდა 25 ივლისს. კრებას დასწრებია 6000 კაცამდე.

◆ როგორც ყარაიაზის სახაზინოდან გვატყობინებენ, ასამანცის მამულში 24 ივლისს მამულის გამგეს დაუჭერავთ 5 კაცი, მაჰმადიანი. მეორე დღეს მუშები მისცვივნიან მამულის გამგეს ნიჯადაზ ხიჯამოვს და ხანჯლებით აუკუწავთ. ბოროტმოქმედებს გაუტაცნიათ 2 თოფი, ნივთები და მამულიდან გადმალულან.

◆ 26 ივლისს მოხდა შეერთებული კრება ტფ. ქალაქის გამგეობისა, ხმოსან ტეხნიკოსებისა და ქალაქის ტრამვაის მეთვალყურე კომისიისა. კრებამ განიხილა მოხსენება ქალაქის ინჟინრის კოვნოვიცკისა დიდ ხევის არხის გაკეთების შესახებ. როგორც იციან მკითხველებმა, წყალდიდობის დროს დიდი ზარალი აქვთ მცხოვრებთ ამ ხევისაგან. ეს რამდენიმე წელიწადია ამ საქმისათვის 20,000 მან. გადაიდო, მაგრამ აქამდე არა გაკეთებულა-რა. კრებამ საჭიროდ სცნო შეადგინოს პროექტი დიდხევს გარშემო ხრამების მოსაწესრიგებლად. ვიდრე პროექტის შედგენას შეუდგებოდნენ, დაადგინა, დაევალოს სააშენებლო განყოფილებას შეადგინოს ამ კუთხის გეგმა.

◆ ტფ. საგუბერნიო საპყრობილის უმცროს ზედამხედველს ს. ლომაძეს პოლიციაში განუცხადებია, რომ 26 ივლისს, ჩემს შინ არ ყოფნის დროს, საპყრობილის ეზოში ვიღაც ბოროტმოქმედი შემოსულა და მუთაქის ქვემოდან ჩემი საკუთარი ფული 4700 მან. მოუპარნიაო. ქურდობაზე ეჭვი არავიზე არ მიუტანიათ.

რუსეთის ქრონიკა

საქმის ბიუროკრატიულად წარმოება. 21 ივლისს პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში არჩევდა თურმე ერთი მეორე საქმე. დეპარტამენტის თავმჯდომარე გრედინგერი შეუდგა რეზოლიუციის კითხვას, მაგრამ ეს რეზოლიუცია შეეხებოდა თურმე სულ სხვა საქმეს, რომელიც ჯერ არც კი მოესმინათ. შემდეგ გამოირკვა, რომ ამ პალატაში წევრები ამა თუ იმ საქმის შესახებ წინდაწინვე, საქმის განხილვამდე, ადგენენ განაჩენს. („რ. ვ.“).

ვითომდა თავისუფლება სიტყვისა და კრებისა. უმაღლეს წრეებში დაპირებაა თურმე წარმომადგენელთა არჩევის წინ ხალხს კრების ნება მიეცეს, რათა შეეძლოთ ერთმანეთის დაახლოვება და გაცნობა. ამ წინასწარ კრებების საფუძვლების შემუშავება მიენდობა სახელმწიფო საბჭოს ერთ წევრს. საფუძველთა შორის შემდეგია დასახელებული: 1. კრებას არ უნდა ჰქონდეს რაიმე მავნებელი ხასიათი; 2. კამათი მხოლოდ ამორჩევის შესახებ უნდა იყოს და 3. კრებების ზედამხედველობა და პასუხისმგებლობა უნდა მიენდოს ადგილობრივ დაწესებულებებს, რომელთაც კრებების თავმჯდომარენი უნდა დანიშნონ. („რ. ვ.“).

გრაფ ლ. ტოლსტოის და იოანე კრონშტადტელს იურიევის უნივერსიტეტის საპატიო წევრებად აირჩევდნენ პროფესორის შმურლის წინადადებით. ამ დროს ღვთისმეტყველების პროფესორმა ცარევსკიმ წაიკითხა უწმ. სინოდის დადგენილება, რომ ტოლსტოის, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიიდან განდევნილს, ამ სარწმუნოების მოქალაქეთა წრეში ყოფნის უფლება აქვს ჩამორთმეული და, მაშასადამე, ღირსი არ არის უნივერსიტეტის საპატიო წევრობისა. ეს პროტესტი უყურადღებოდ დაუტოვებიათ და აურჩევიათ როგორც ტოლსტოი, ისე მღ. კრონშტადტელი. როდესაც მღვდელს საპატიო წევრობის დიპლომი გაუგზავნეს, მას უკანვე დაუბრუნებია და ღვთისმეტყველების პროფესორისთვის შემდეგი წერილი მიუწერია: „მიკვირს, პროფესორების სულმოკლეობა და მონური თაყვანისცემა ტოლსტოისადმი, ამ ქრისტეს გამყიდველ იუდასადმი. ვმადლობ უნივერსიტეტს პატივისცემისთვის, მაგრამ ურწმუნოებთან ერთად ამ წოდების ტარება არ მსურს“. („რ. გზდ.“).

ეკატერინოსლავის გუბერნატორის განცხადება. გუბერნატორის ბრძანებით ქუჩებში განცხადება გაუკრავთ 21 ივლისს მომხდარ არეულობის შესახებ. ამ არეულობის დროს ზოგ სახლებიდან თოფების სროლა დაუწყიათ. ორი კაცი უმსხვერპლია არეულობას. გუბერნატორი აცნობებს ხალხს, რომ ამ გვარ შემთხვევებში სასტიკი ზომები იქნება მიღებული და აფთხილებს ყველას, მოერიდნენ კრებებს რომ შეიარაღებულის ჯარის შემწეობით ხალხის გაფანტვის დროს არავის რაიმე ხიფათი არ შეემთხვესო. („რ. ვ.“).

სამღვდელოების კრება. პეტერბურგის ეპარქიის სამღვდელოება შუამდგომლობს, ნება დართულ იქნას პეტერბურგში გამართო სრულიად რუსეთის სამღვდელოების კრება ამ წლის გასულს. ამათ შუამდგომლობას უერთდებიან ნოვგოროდის, პსკოვის და არხანგელის ეპარქიებისა და ფინლიანდიის სამღვდელოება. („რ. ვ.“).

არეულობის მსხვერპლნი. ეკატერინოსლავის გაზეთებში, ოფიციალურად გამოქვეყნებულ ცნობის თანახმად, 20 ივლისს მომხდარ არეულობის დროს დაჭრილა ოცზე მეტი და მომკვდარა ერთი კაცი. დაჭრილებში ხულიგანებიც ურევიან თურმე. („რ. ს.“).

სამართალში მიცემული ტყვე იაპონელები. ორი ტყვედ წამოყვანილი იაპონელი, იაკუტარ კატუმატო და მავოსუდარ აკატო, მიეცათ პეტერბურგის სამხედრო-ოლქის სასამართლოში შემდეგ დანაშაულობისათვის: 29 მაისს ისინი [illegible] სხვა ჯარის კაცებთან ერთად ნოვგოროდის გუბერნიის ს. მედვედის აბანოში. იქიდან გამოსვლის დროს იაპონელები ცალკე წასულან და არ დამორჩილებიან ფელდფებელის ბრძანებას შეერთებოდნენ სხვა ჯარის კაცებს. როცა უნდა შეეპყრობინათ, იაპონელები სცემიან თურმე უნტერ ოფიცერსა და მეორე სალდათს და თავზარში ცემა დაუწყიათ [illegible], ტიტლიოთი და ჯოხებით და თან თოფების წართმევა მოუნდომებიათ. შემდეგ შეერთებიან სხვა ჯარის კაცებთან, მაგრამ გზაში გინება დაუწყიათ, „აა, თქვე რუსის ძაღლებო“. („რაზ.“).

პასუხად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს

(დასასრული*)

ერევნის დირექციაში, რომლის უფროსად მე დავინიშნე 1900 წელს, შარშან ენკენისთვემდის რუსულს ენას პირველის ორის წლის განმავლობაში ასწავლიდნენ ჩერნიავსკის წიგნით. სწავლება იწყებოდა დექსიური განყოფილების შესწავლით, სწარმოებდა თვალსაჩინოდ სხვა და სხვა საგნების, ამათ მოდელების და სურათების საშუალებით და მოსწავლეთა სამშობლო ენის დახმარებით. შარშან ენკენისთვიდან შემოღებულ იქმნა სასწავლო მთავრობის სურვილის თანახმად ლევიტსკის წიგნი. მაგრამ ამასთან ვალად ვსთვლი მოვიხსენიო, რომ სამშობლო ენის დახმარება რუსულის ენის სწავლებაში ჩემ მიერ არა თუ არ ჰქონდათ აღკრძალული ერევნის დირექციის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლებს არც წინად და არც შარშან ენკენისთვიდან, პირიქით, ხშირად [illegible] ხოლმე დარიგებას რევიზიის დროს, ან როდესაც ჩემთან მოდიოდნენ, რომ საჭიროა სამშობლო ენის მონაწილეობა უცხო ენის სწავლების დროს და თან ვუჩვენებდი კიდეც და ვუხსნიდი, როგორ უნდა მიემართათ ამ საშუალებისათვის. ამგვარი ჩემი შეხედულება იცოდა ახლანდელმა ოლქის მზრუნველმა, რომლისათვის მომიხსენებია ეს. ერევნის გუბერნიაში ერთი მასწავლებელიც არ აღმოჩნდება, რომ დამაბრალოს მე მათი სამშობლო ენის შევიწროება და უპატივცემულობა. აგერ ოთხი წელიწადი და 8 თვეა მას აქეთ, რაც ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად დავინიშნე და ამდენის ხნის განმავლობაში არავისთვის არ მიმიცია მიზეზი მითხრას, რომ მე ვსდევნი სომხურს ან თათრულს ენას. 1903 წლის დასაწყისში ჩემ მიერ წარდგენილ იქმნა ოლქის მზრუნველთან მოხსენება ჩემი და რწმუნებულის ჩემდამი დირექციის სკოლების ინსპექტორისა. ჩვენ აღვიარებდით საჭიროებას მოსწავლეთა სამშობლო ენის სწავლების გაუმჯობესებისას და ვთხოვდით გაკვეთილების მომატებას. იმავ წელს ივნისში სახალხო სკოლების დირექტორთა და ინსპექტორთა კრებაზე სხვებმაც მხარი დაუჭირეს ამ საგანს და თუმცა იმდენი არა, რამდენსაც ჩვენ საჭიროდ ვსთვლიდით, მაგრამ სამშობლო ენას პირველ დაწყებით სკოლებში მოუმატა დრო: წინად ორს საგანს—საღმრთო სჯულს და სამშობლო ენას—მიჩენილი ჰქონდა კვირაში ექვსი გაკვეთილი, ხოლო 1903 წლიდან ამ ექვსს მოუმატა ოთხი გაკვეთილი.

დასასრულ, საჭიროდ ვრაცხ მივაქციო მკითხველის ყურადღება იმას, თუ რა მოვიწონე მე ბუნების მეთოდში, რა ღირსება აღვიარე ამ წესით სწავლებისა ჩემს ანგარიშში. ღირსებად დავასახელე თვალსაჩინოება სწავლებისა, რომლის დიდი მნიშვნელობა დიდი ხანია ცნობილია სწავლა-აღზრდის საქმეში და რომელიც აუცილებლად საჭიროა, როდესაც ამ მეთოდის თანახმად ასწავლიან ხოლმე ყმაწვილს, და პრაქტიკულად ხმარება მოწაფეთაგან ენისა, ხშირად ლაპარაკი უცხო ენაზე, რომელსაც სწავლობენ. ეს ორი მოთხოვნილება ისეთი უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ მათი უარყოფა არც ერთს პედაგოგს არ შეუძლია და მათს შორის არც ბ-ნ გოგებაშვილს. საკვირველია მხოლოდ, როგორ თავსდება ბ-ნ გოგებაშვილის მიერ ბუნებითის მეთოდის გმობა ამ გარემოებასთან და მისს „Русское слово“-ს პირველის ნაწილის (დექსიური განყოფილება) წინასიტყვაობასთან, რომელიც დამყარებულია ბუნებითის მეთოდის უმთავრეს მოთხოვნილებებზე! ბ-ნი გოგებაშვილი ურჩევს მასწავლებლებს, არ დაივიწყოთ ეს მოთხოვნილებანი რუსულის სწავლების დროსაო (მეორე, მესამე და მეოთხე მუხლი წინასიტყვაობისა). ხსენებულ წიგნის (დექს. განყ.) მეათე გვერდზე სიტყვას „или“ (ფრაზა: стоитъ или лежитъ“) გაკეთებული აქვს ამისთანა შენიშვნა: „Только слова, набранныя курсивомъ, переводятся на родной языкъ, всѣ же другія—могутъ и должны усваиваться нагляднымъ путемъ“. ამის თანახმად დექსიურ განყოფილებაში ბევრი მაგალითია მოყვანილი, სადაც მხოლოდ იშვიათი სიტყვა ითარგმნება, დანარჩენი კი უნდა შეითვისონ მოსწავლეებმა თვალსაჩინოების გზით, ესე იგი იმ გზით, რომელსაც ბუნებითი მეთოდი თხოულობს, „Это мячикъ“... „Стоитъ (?) или лежитъ мячикъ“? („Затѣмъ

---

ndaire), ეს სკოლა თავის პროგრამით წააგავს ჩვენებურ საქალაქო სკოლას და შეადგენს მეორე საფეხურს პირველ დაწყებით სახალხო სკოლისას და ამ უკანასკნელისაგან განირჩევა მხოლოდ პროგრამის სიღრმით: გარდა იმ კურსისა, რომელსაც პირველ დაწყებით სკოლაში გადიან, აქ ასწავლიან ახალ ენებს და ბუნების მეტყველებას. როდესაც ყმაწვილი შეასრულებს პირველ დაწყებით სკოლას, ის პირდაპირ გადადის სეკუნდარულ სკოლაში. აზრი ამ სკოლებისა ისაა, რომ ყმაწვილებს იმაზე მეტი ცოდნა მისცეს, რასაც აძლევს პირველ დაწყებითი სკოლა. ამ სკოლებშიაც, როგორც პირველდაწყებით სკოლებში, ერთად სწავლობენ ქალები და ვაჟები. აქაც, რასაკვირველია, სწავლა უფასოა. 1901 წელს შვეიცარიაში ითვლებოდა 557 სეკუნდარული სკოლა, რომელშიაც სწავლობდა 38,822 მოწაფე (21,091 ვაჟი და 17,801 ქალი).

პროფესიონალური სკოლები

მეტად გავრცელებულია შვეიცარიაში პროფესიონალური სწავლა. ჯერ მარტო ხელსაქმეს (ручной трудъ) ასწავლიან 15 კანტონსა და 103 საზოგადოებაში. რაც შეეხება სახელოსნო სწავლას, ამას უფრო დიდ ქალაქებში მისდევენ. მაგალითად, ქალაქ ჟენევაში ყოველ წელს 4000 კაცი იძენს სახელოსნო სწავლას, ციურიხში 2000, ნეიენბურგში—1500 და სხ.

საზოგადო აზრი პროფესიონალურ სკოლისა ის არის, რომ ყოველმა მოქალაქემ უსათუოდ იცოდეს რაიმე ხელობა. მაგრამ მარტო ხელობის ცოდნა ვერას გააწყობს, თუ იმავე დროს კაცს განათლებაც არა აქვს. ამისთვის ჯერ ყველამ საზოგადო განათლება უნდა მიიღოს და მერე კი ხელობა შეისწავლოს. სპეციალურად ხელოსნობას შვეიცარიაში ასწავლიან 299 სკოლაში. მერე რას არ ასწავლიან ამ სკოლაში? ისეთი ხელობა არ არის დედამიწაზე, რომელსაც შვეიცარიის სკოლაში არ ასწავლიდნენ. პირველი ადგილი უჭირავს ქსოვას, ჭრა-კერვას, საათების კეთებას და სხვა ამისთანებს; მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ იმისთანა უბრალო ხელობასაც კი, როგორიც არის, მაგალითად, კალათების წნა, კოლოფების კეთება, ჭურჭლების გამოყვანა, ქვის თლა, ხურობა და, ასე წარმოიდგინეთ, მეუსიმობა—ამასაც კი სპეციალურად სწავლობენ სხვა და სხვა სკოლაში. რა გასაკვირველია, რომ ამათი ნახელავი მშვენიერი იყოს და ბაზარსაც მოუგებდეს სხვა ქვეყნებში.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შვეიცარიის სკოლებში შესწავლილ ხელობას, იქიდან დაინახავთ, რომ 1901 წელს შვეიცარიიდან გაიტანეს:

სხვა და სხვა ქსოვილი	381	მილ. ფრანკისა
შალ-აბრეშუმეულობა	116,7	—
ჭრა-კერვის ნაწარმოები	108,5	—
საათი	180	—

როგორც ყველა სხვა სკოლაში, სახელოსნო სკოლებშიაც ვაჟებთან ერთად ქალებიც სწავლობენ; მაგრამ შვეიცარიაში ისეთი სკოლაც ბევრია (260), სადაც მარტო ქალები სწავლობენ. უმთავრესად ამ სკოლებში ჭრა-კერვას, ქსოვას და სხვა ამისთანა ხელობას სწავლობენ, მაგრამ ბევრია ისეთი სკოლაც, სადაც მზარეულობას, მოახლეობას, ავადმყოფთა მოვლას, მეფუსხეობას ასწავლიან; ნამეტნავად გავრცელებულია მზარეულობის შესწავლა, რომელსაც მარტო ქალები სწავლობენ.

გარდა სახელოსნო სკოლებისა შვეიცარიაში ბევრია სატეხნიკო, სამეურნეო და სავაჭრო სასწავლებელი. ყურადღების ღირსია უფრო სამეურნეო სასწავლებლები, სადაც ასწავლიან შვეიცარიის განთქმულ ყველის კეთებას და აგრეთვე ხეხილისაგან ღვინის დაყენებას. 1900 წელს შვეიცარიამ გაჰყიდა 44 მილიონ ფრანკის რძის ნაწარმოები. სამ სკოლაში სპეციალურად რძის დაყენებას ასწავლიან. იმავე წელს შვეიცარიიდან გაიტანეს 49 მილიონ ფრანკის ხეხილის ღვინო; ამ ხელობასაც სამს სკოლაში ასწავლიან.

თუმცა შვეიცარია მთა-გორიანი ქვეყანაა, მაგრამ 35% მკვიდრთა მეურნეობით ცხოვრობს; ამისათვის ამ დარგის შესწავლას შვეიცარიაში დიდ ყურადღებას აქცევენ. მარტო 1901 წლის განმავლობაში 11 კანტონში წაკითხულ იქმნა 952 სამეურნეო ლექცია. ცხადია, მეურნეობის შესწავლის სურვილი დიდი ყოფილა ხალხში, თუ ამდენი ლექციების წაკითხვა დასჭირდა მარტო 11 კანტონს.

კერძო სკოლები

ზევით ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ, გარდა საზოგადო და სახელმწიფო სკოლებისა, შვეიცარიაში მრავალია კერძო სკოლაც, (155). ამათი არსებობა არა თუ ხელს არ უშლის საზოგადო და სახელმწიფო სკოლებს, პირიქით, დიდი სარგებლობა მოაქვს; ყოველ ახალ სისტემას, ახალ აზრებს ბავშვების აღზრდაში პირველად კერძო სკოლები შემოიღებენ ხოლმე, და აქედან რეფორმა სახელმწიფო სკოლებში გადადის. კერძო სკოლის დამფუძნებელნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მათი სკოლა საუკეთესოდ იყოს მოწყობილი პედაგოგიის მხრივ, რათა მეტოქეობა გაუწიოს სახელმწიფო სკოლებს. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ თუმცა შვეიცარიაში მრავალია სახელმწიფო სკოლა, მაგრამ კერძო სკოლები მთლად სავსეა მოწაფეებით. ასეთია, მაგალითად, ბეისტის სკოლა ციურიხში, გლარისეგტის სამეურნეო სკოლა ტიურგაუში, კერძო გიმნაზიები: ცუგსა, ბერნსა, ნეიენბურგსა და სხვაგან. ამ სკოლებში დიდ ყურადღებას აქცევენ ახალ თაობის ნორმალურად აღზრდას. აქ მარტო ჭკუაზე კი არა ფიქრობენ, ფიზიკურ მხარესაც დიდ ყურადღებას აქცევენ. ამიტომ მშვენივრად მოწყობილ სწავლასთან ერთად იქ შემოღებულია ბევრნაირი გიმნასტიკური ვარჯიშობა, ექსკურსია, ცურაობა, მებაღეობა, ხურობა და სხვ. ბევრია ისეთი კერძო სკოლა, რომელთა დანიშნულებაც შემწეობის აღმოჩენაა ღარიბთა, გაჭირვებულთა, უპატრონოდ დარჩენილთა და სხვათათვის.

ყოველგვარ სკოლას შვეიცარიაში უნდა მოუმატოთ ისეთი სკოლებიც, სადაც მოხელეებს (ჩინოვნიკებს) ამზადებენ. ამ ორიგინალურ ქვეყანაში, სადაც, ვგონებ, ჭამასაც კი არა სწავლობენ უსკოლოდ, ასეთი სკოლებიც არის. ეს სკოლები დაუწესებიათ მხოლოდ ამ ბოლო დროს. ამათი მიზანია შეასწავლონ იმათ, ვინც სამსახურში შესვლას აპირებს, სამსახურის წესრიგი. ჯერ-ჯერობით შვეიცარიაში მხოლოდ ორია ამისთანა სკოლა—ს. გალენში (დაწესებულია 1899 წ.) და ბილში. ამ უკანასკნელს ექვსი განყოფილება აქვს, რომელშიაც სხვა და სხვა უწყებებში სამსახურს ასწავლიან. რასაკვირველია, აქ უფრო ღარიბები ჰყავთ მიღებული სახეში.

კერძო სკოლების რიცხვში უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სამუსიკო სკოლებიც. უნდა აღვიაროთ, რომ შვეიცარიელები დიდი თაყვანის მცემელნი არიან საზოგადოდ მუსიკისა. არა თუ ყოველ სკოლაში, სახაზინოა იგი თუ კერძო, დიდი ადგილი აქვს დათმობილი სიმღერას და საზოგადოდ მუსიკას, არამედ ცალკე პირებს და საზოგადოებებს აქვთ სამუსიკო სკოლები, სადაც მრავალი მოწაფე—ქალი და კაცი—სწავლობს. ასეთი სკოლები არსებობს: 1. აარაუში, ბაზელსა, ბერნსა, ჟენევასა, ლოზანასა, ლუცერნსა, შაფჰაუზენსა, ციურიხში და სხვაგან. ისეთი ქალაქი კი არა, სოფელიც არ არის, სადაც სასიმღერო ანუ სამუსიკო ხაროები არ არსებობდეს. შვეიცარია ერთ უშველებელ მუსიკალურ ზოგადოებას წარმოადგენს.

მაღალი სწავლა

გარდა მრავალ საშუალო სასწავლებლებისა: გიმნაზიების, რეალურ სასწავლებლების, სატეხნიკო, საკომერციო, სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებლებისა, პატარა შვეიცარიას, რომელიც სულ 41,469 ოთხ-კუთხ მილს და 3,3 მილიონ მცხოვრებს შეიცავს (ჩვენს კავკასიაზე თითქმის სამჯერ ნაკლებს), ექვსი უნივერსიტეტი აქვს და ერთიც აკადემია! ამ სასწავლებლებში სწავლა ისე სერიოზულადაა დაყენებული, რომ ამ მხრით არ ჩამოუვარდება გერმანიის არც ერთ უნივერსიტეტს. ამას მოწმობს სიმრავლე შვეიცარიელ მეცნიერებისა.

ამ მოკლე აღწერილობიდან თავის-თავად ორი აზრი იბადება: პირველი ის, რომ შვეიცარიელები სცდილობენ, ყოველ ღვთისგან გაჩენილ ადამიანს ნიჭი, მიუხედავად იმისა, დიდია ეს ნიჭი თუ პატარა, სწავლის შემწეობით სასარგებლოდ გამოიყენონ, მეორეც ის, რომ სწავლის საქმეს თვით საზოგადოებამ უნდა მოჰკიდოს ხელი, თუ უნდა, რომ იგი ნაყოფიერი იყოს, და სხვის იმედით ფართო ლოგინს ნუ დაიგებს.

ბესარიონ ლომინაძე.

---

*) იხ. „ცნ. ფურც“. № 2872.

учитель беретъ мячикъ со стола, кладетъ на подоконникъ самъ отходитъ къ столу и спрашиваетъ:) „Мячикъ лежитъ здѣсь или тамъ?“—„Мячикъ лежитъ тамъ“. ნამდვილის ბუნებითის მეთოდით ახსნაა ეს და სხვა არაფერი. ამ გვარად სწავლებას ურჩევს ბ-ნი გოგებაშვილი მასწავლებლებს.

ვინც ცოტაოდნად მაინც იცნობს ბუნებითს მეთოდს, მისთვის აშკარაა, რომ თვით ბ-ნი გოგებაშვილი ბუნებითს მეთოდს ადგია ამ შემთხვევაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქაიქ ზოგიერთ სიტყვებს ათარგმნინებს. რას ნიშნავს ეს? მტერია თუ მოყვარე ბ-ნი გოგებაშვილი ბუნებითის მეთოდისა? თუ მტერია და სრულიად არ განეცდება ეს მეთოდი, ამას რას ამბობს, რაც ნახსენებია ზევით და თუ არა, თუ იმას იტყვის, რომ ზოგიერთი მოთხოვნილება ამ მეთოდისა, ზოგიერთი ვარჯიშობა მისაღებია და მისწონს, მაშინ სხვებს რადას ერჩის? მე რადად მახსენა ცუდად? მე ზოგიერთ სიტყვების თარგმნას-კი არა, მეტსაც ვთხოულობ ჩემს მოხსენებაში (ანგარიშში); მე ვამბობ, რომ პირველ ხანებში ბევრნაირი შეცდომაა მოსალოდნელი უცხო ენის სწავლების დროს, თუ მარტო თვალსაჩინოებას დავემყარეთ და დედაენა არ ვახმარეთ ადვილად შესაძლებელია მოსწავლემ სულ სხვა მნიშვნელობით გაიგოს და შეითვისოს სიტყვები; ამიტომ საჭიროა უცნობის ახალის სიტყვის ახსნის დროს ვუჩვენებდეთ მოსწავლეებს საგანს, მოქმედებას თუ სხვ., რასაც ნიშნავს ეს სიტყვა და თან სამშობლო ენაზედაც ვუხსნიდეთ მისს მნიშვნელობასაო. ასეა მოხსენებული ჩემს ანგარიშში, ამის მოწმეებიც არიან, ანგარიშის წამკითხველნი, და წერილობითი საბუთიც არის.

პრაქტიკულს ნიადაგზე წარმოებულს სწავლებას ენისას უპირატესობას ვაძლევდი მე ამ 25—26 წლის წინადაც, როდესაც ბუნებითის მეთოდის ხსენებაც არ იყო. იმ დროს ქართულს გაზეთს „დროებაში“ წერილი დაიბეჭდა ჩემი. მიზეზი ამ წერილისა იყო ერთის სოფლის მასწავლებლის აზრი ბ-ნ კალანდარიშვილის რუსული ენის „სახელმძღვანელოზე“, რომელიც მეტად აქებდა ამ წიგნს. მე უარვყოფდი უმჯობესობას იმ მეთოდისას, რომელ მეთოდზედაც შედგენილი იყო „სახელმძღვანელო“ და ვამბობდი, რომ საუკეთესოდ ენის შესწავლისათვის უნდა იყოს მიღწეული პრაქტიკულად შესწავლა მისი, სწავლა ცოცხალის ენისა, შინაარსიან მასალისა, რომლის ნაწილები ბუნებრივად არიან შეკავშირებულნი ურთიერთ შორის, და არა ზეპირობა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებისა, მარცვლებურ პარაგრაფებისა, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ურთიერთშორის და რომელთაც ბავშვი იმეორებს უმიზეზოდ, უსაგნოდ, უშემთხვევოდ, მაგალითად ამგვარის ფრაზებისა: Архіерей былъ на горѣ. Рыба живетъ въ водѣ. Собака укусила мальчика. Курица снесла яицо. სიტყვა-სიტყვით მოყვანა ადგილებისა მაშინდელის წერილიდან არ შემიძლია, რადგან ხელთ არა მაქვს მაშინდელი „დროება“; არც ჩემის ანგარიშიდან შემიძლია დაწვრილებით ცნობები მოვიყვანო ამჟამად. რადგან გზად ვარ ტფილისში და თან არა მაქვს ჩემი ანგარიშის პირი, ბ-ნ გოგებაშვილის წერილი-კი, „Разсвѣтъ“-ში დაბეჭდილი გზაში წავიკითხე. იმედია, პატივცემული პედაგოგი არ დამწამებს, რომ ვითომ 26-ის წლის წინად არ მოვიწონე მეთოდი, რომელზედაც შედგენილი იყო ბ-ნ კალანდარიშვილის „სახელმძღვანელო“, იმ განზრახვით, რომ 1900 წ. დირექტორობა მოეცათ სახალხო სკოლებისა სპარსეთის საზღვარზე, და თავის შეცდომას ჩემს შესახებ გაასწორებს.

ალ. ჭიჭინაძე.

წერილები

სოფ. ჯიმითი (გარეთ კახეთი). რამდენისამე დღის წინად ადგილობრივ მცხოვრებთ ი. მთავრიშვილს და ხ. თევდორაშვილს მინდვრიდან ღამე ძნა მოჰპარეს თითოს სამ-სამი ათეული. მეორე დღეს პატრონები მამასახლისითურთ მიჰყვნენ ურმის კვალს, რომელიც ლევან შავლიაშვილის ეზოში მივიდა. გასინჯეს იმის ჩარდახში ძნა და მოპარული ძნები სხვა ძნაში ღრმად ჩატანებული იპოვნეს. ძნა ლევან შავლიაშვილის შვილებს მოეპარათ ღამე. მამასახლისმა ოქმი შეადგინა და ქურდები დაატუსაღა. იმედია, ეს საქმეც ისე არ ჩაფუჩეჩდება, როგორც სხვა ბევრი, რამაც გარყვნა ბევრი ახალგაზდა და ასეთ წვრილმალ ქურდობა ავაზაკობას მიაჩვია. მაგალითად: წელს მაისში, ჯიმითის მახლობლად, შუადღისას გაძარცვეს ქერემის სამრევლოს მღვდელი ლ. გარსიაშვილი და მედავითნე დ. ელიზბარაშვილი, წაართვეს ცხენები სავსე ხურჯინებ აკიდებულები, და ფული (სიღნაღში ჯამაგირი მიეღოთ და იქიდან მომავლებულიყვნენ). ერთი მძარცველთაგანი მამასახლისმა დაიჭირა, რის შემდეგ ხურჯინებ აკიდებული ცხენები, საიდანღაც თავის-თავად მოვიდნენ. კარგად იცნეს ეს ვაჟბატონი მღვდელმაც და მედავითნემაც, მაგრამ ამ საქმემ მშვიდობიანად ჩაიარა. შემდეგ რამდენიმე ახალგაზდა ბიჭი შეუვარდა ღამე სახლში ადგილობრივს მცხოვრების იოსებ თევდორაშვილის ცოლს და რადგან ხსენებული თევდორაშვილი შინ არ იყო, მოიწადინეს ერთ ახალგაზდა პატარძლის მოტაცება, რომელსაც იმ ღამეს თევდორაშვილის ცოლთან ერთად სახლში ეძინა. თევდორაშვილის ცოლი გასძალიანებოდათ, დაეწყო ყვირილი და ისე მაგრა ჩაევლო ხელი ამ ქალისათვის, რომ ვაჟბატონებს ვერას გზით ხელიდან ვერ გამოეტაცნათ ქალი და გაჯავრებულებს ისე ღრმად დაეჭრათ ხელები ხანჯლით, რომ უბედურ ქალს ორივე ხელებზე თითები დაუშავდა. ხმაურობაზე მეზობლები გამოცვივდნენ და მსხვერპლი ხელიდან გააგდებინეს გაცოფებულ ბრბოს. ყველამ კარგად იცის, ვინც იყვნენ ეს ვაჟბატონები, მაგრამ ამ საქმემაც მშვიდათ და უვნებლად ჩაიარა. აი, ამისთანა შემთხვევები აქეზებენ ჩვენ ღამის რაინდებს და სხვა ვაჟკაცობაზე იწვევენ. ბევრი სხვა უბედური შემთხვევაა მოსალოდნელი, თუ ესენი ჩქარა არ იქნებიან ალაგმულნი.

ამ თვის თერთმეტში მთელი ჯიმითის საზოგადოება დაბარებული იყო სადგურ კაჰრეთში, სადაც გენერალმა თავ. ჭავჭავაძემ, როგორადაც სხვა სოფლებში, გადასცა მათ ნამესტნიკის განკარგულება.

ჩვენსკენ ცვალებადი ამინდია, ავდარი ხშირად მოდის, რის გამო ლეწვა გვიანდება. მოსავალი საშუალოზედ უმჯობესია, მკა თავდება. ბევრ ხალხს შარშანდელი პური შემოაკლდა, მაგრამ კალოები უამინდობისა გამო არ არის გახშირებული.

ჯიმითელი

სოფ. ხოვლე (ქართლი). გლეხები ისევ ბოიკოტს უწევენ მემამულეებს. ყველას გამოურეკეს მოსამსახურენი. არც ერთ მემამულეს ჯერ პური არ გაულეწია. ზოგი ერთს სულ არა აქვს თავისი ნათესი ნადელის მეტი. გლეხებმაც თითო-ოროლი კალო გალეწეს და ცოტად თუ ბევრად კუბები დაიძლეს. ძნა ისევ მინდორშია და ელიან, როგორ მორიგდება მეათედობის საქმე. საკვირველია ამ შემთხვევაში მემამულეთა საქმე. გაჯიუტდნენ მოხუცნი, რატომ ახალგაზდები მაინც არა სცდილობენ საქმის მორიგებას. თუ არ მორიგდნენ, ეჭვი არ არის, მთელი პირნახული დაილუპება და ორივე მხარე გაჭირვებაში ჩავარდება. ორივე მხარე თავისას გაიძახის. ბევრი მემამულე იმუქრება კიდეც და გაიძახის, ვინც დაჰყაბულდება გლეხებს და ხელს მოუწერს მეათედზე, ამოვწყვეტავთო. მეათედობის საქმე თავიდანვე გამწვავებული იყო და ბოლოც გაამწვავეს. სულ იმას გაიძახიან, რაც სხვაგან, ის ჩვენაო. ბევრგან სხვაგან მორიგდნენ კიდეც. საჭიროა აქაც შეიკრიბნენ და მოილაპარაკონ. ჯიბრსაც ეხლა მიჰყვეს ხელი. მაგალითად, სოფელი უწყალოთ იხრჩობა და ზოგი ერთს მემამულეს-კი მშვენიერი წყაროები ჩამოუჩხრიალებთ.

საცოდავმა სამკითხველომ რაღა დააშავა, კაცმა არ იცის. აგერა თითქმის ათი წელიწადია, რაც სოფლის ინტელიგენტებმა სამკითხველო დააარსეს, მაგრამ ნაყოფი-კი მაგდენი ვერა გამოაღებინეს-რა. მიზეზს იმას ასახელებდნენ, რომ სამკითხველო ვერ არის მოხერხებულ ალაგას, „მემამულის სახლში იყო“ და ერიდება ხალხს იქ მისვლაო. სამკითხველო გადაიტანეს შუა სოფელში, სადაც ერთმა მემამულემ პურის მაღაზია დაუთმო, მაგრამ—დახეთ ბედს!—სამკითხველო დაობლდა, ამყაყდა უპატრონობით. საქმე ის არის, რომ მემამულეთ აღარ ესიამოვნებათ, გლეხებს ვინმე მადლიანმა ხმა მაღლა გაზეთი წაუკითხოს და გააგებინოს რამ. მაშინვე ხმას დაჰყრიან ხოლმე: გაზეთი-კი არა „პრაკლამაცია“ წაუკითხაო და სხვ. იცოდეთ, რაც უნდა დიდი კედლები ააფაროთ, მაინც სინათლე თავის გზას იპოვის. დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ეს ამბავი ხოვლის ახალგაზდა ქალებს და მეტადრე მასწავლებელთ, რომელნიც თითსაც-კი არ ანძრევენ. ეს ქალები და მასწავლებლები შიშით ჰკრებიან, რომ არავინ სთქვას რამეო.

ტიმოთე

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

26 ივლისი

პორტ-სმუტი. იმ შენობას, სადაც რწმუნებულნი სხდომა აქვთ, ბეჯითად ჰყარაულობენ, რათა დაცულ იქმნას მოლაპარაკების საიდუმლოება. როცა რწმუნებულები მოვიდნენ, მათ საზღვაო სამინისტროს შენობაში საუზმე გაუმართეს, რომელსაც საზღვაო აფიცრები თავიანთ ცოლებით და სხვებიც დაესწრნენ. შემდეგ რწმუნებულნი საგრაფოს სასამართლოს შენობაში წავიდნენ, სადაც მათ გუბერნატორი შეხვდა ნიუგემშირის შტატის სახელით და იმედი გამოსთქვა, რომ მოლაპარაკება გათავდება პორტსმუტის ტრაქტატით, რომლის პირობები ორივე ერის კურთხევა და კაცობრიობის საკეთილდღეო იქნებაო.

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკ-სკან“-ი იუწყება, რჩევა ნაადრევიაო. რუსეთს საკმაო ძალა აქვს, რომ არ შეეშინოს ომის შედეგის, მას ზავის მძიმე პირობებში ჩამოგდების უფრო უნდა ეშინოდესო.

პორტ-სმუტი, 26 ივლისი. რწმუნებულთ გზაში ხალხი ოვაციებით ეგებებოდა. პირველი რჩევა ხვალ იქნება. ვიტტე სადილობს სასტუმროში, საერთო სასადილო ოთახში, რითაც დამსწრეთ განცვიფრებას იწვევს. პოკატილოვი საღამოზე მოვა.

შანხაი. ჟურნალ-გაზეთების აზრით ამერიკელების საქონლების ბოიკოტში მონაწილეობას იღებენ იაპონელებიო.

კოვნა. გუბერნატორი იუწყება „კოვ. ტელეგრაფ“-ში, რომ ელისავეტგრადის დრაგუნთა პოლკის ორ უბრალო ჯარის კაცთა და რეკოშის ქარხნის მუშებს შორის შეტაკება მოხდა, რის დროს ერთმა მთვრალმა დრაგუნმა მოჰკლა ქარხანაში მოსამსახურე ბანდაჟიხი ქალები დიდლოგუ იუშკევიჩი და რახილ დიგუ გურვიჩი. დამნაშავენი დაიჭირეს და სამართალში მისცეს.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით სათადარიგო ჯარის კაცთა 1905 წ. შემოდგომაზე სავარჯიშოდ გაწვევა აღარ მოხდება.

იალტა. მოვიდა ბუხარის ემირი.

ადესა. სამხედრო სასამართლომ გალპერინსა და ლაპშეს ოცის წლის კატორღა გადაუწყვიტა, ფიალკას 13 წლ. და 4 თვის.

კანეია. რუსები ზარბაზნებს უშენდნენ სოფ. კასტელლის. იქიდგან გაიგზავნა კანონერკა „ხრაბრი“ დამთვნის დასაჭერად, რომელიც აჯანყებულებს ჰქონდათ ხელში. აჯანყებულები არ გაუძალდნენ ჯარს გადმოსვლისას. „ხრაბრი“-ს კამანდირმა უთხრა აჯანყებულთ, ცოლ-შვილები გაიყვანეთ მანდედანო. როცა ბრძანება შესრულებულ იქნა, ცეცხლი მიუშვეს. აჯანყებულებმა სროლითვე უპასუხეს და რუსის ორი სალდათი დაჭრეს. სოფელი დაანგრიეს. აჯანყებულებმა ერთი ბაირაღი ამართეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

27 ივლისი.

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. შესდგა ოფიციალური მიღება რწმუნებულთა პორტსმუტში, რუსებს პირველობა მიანიჭეს. ნიუგემპშირის გუბერნატორი მიესალმა რწმუნებულთ და სასტუმროში გააცილა. საპატიო დარაჯი 1300 მილიციონერისაგან შესდგება.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობები არ მოსულა 26 ივლისს შორეულ აღმოსავლეთიდან.

ლონდონი. ცნობილი მოძულე რუსეთისა ვამბერი კმაყოფილებას აცხადებს „ტაიმს“-ში დაბეჭდილ სტატიაში იმის შესახებ, რომ რობერტსმა დაამოწმა, რუსების მხრივ ავღანისტანს საფრთხე მოელის და საჭიროა, რუსების შემოსევის წინააღმდეგ ზომების მიღებაო. ამაზე „ვესტ-მინისტერ გაზეთი“ უპასუხებს, რომ ტყუილია, ის შიში, რომელზედაც ზემოხსენებული პირი უჩვენებს, ვინაიდან ამდენი ხანი გავიდა, რაც ის წინასწარმეტყველობს ამ საფრთხეზე და არავითარი საფრთხე კი არ სჩანსო. გაზეთი ამბობს, არავითარი შიში არ მოელის ინდოეთს და უმჯობესი იქნება ისეთივე შეთანხმება მოხდეს, როგორც საფრანგეთთანო.

სოფია. პორტამ ნოტით სთხოვა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც აღმოსავლეთში საფოსტო დაწესებულებანი აქვთ, ყველა ამანათები და წერილები იმ პირებისა, რომელნიც ამ ნოტაში არიან მოხსენებული, გადმოგვეცით ჩვენო. ელჩებს ჯერ არ უპასუხნიათ.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში გამოქვეყნებულია წესები საბირჟო ვაჭრობისა და მეურნეობის შესახებ; ნება ეძლევა პეტერბურგის საბირჟო კომიტეტს მოიწვიოს პეტერბურგში, ფინანსთა მინისტრის ნებართვით, სრულიად რუსეთის პირველ სიეზდს საბირჟო ვაჭრობისა და მეურნეობისას.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 145. (წ.)

КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ „ГУТТЕНБЕРГЪ,“

ТИФЛИСЪ,

(на Штабной и Дворцовой улицахъ).

Эшли. Экономическая исторія Англіи въ связи съ экономической теоріей, ц. 2 р. 75 коп.

Каблуковъ. Объ условіяхъ развитія крестьянскаго хозяйства въ Россіи, ц. 1 р. 75 к.

Шиппель. Денежное обращеніе въ связи съ общественными интересами, ц. 50 к.

Бюхеръ. Четыре очерка изъ области народнаго хозяйства, ц. 60 к.

Вандервельдъ. Промышленное развитіе и общественный строй, ц. 50 к.

Чалхушьянъ. Армянскій вопросъ и армянскіе погромы въ Россіи, (панисламизмъ) ц. 20 к.

Гобсонъ. Эволюція современнаго капитализма, ц. 1 р. 50 к.

Геркнеръ. Рабочій трудъ въ Западной Европѣ, ц. 3 р.

Эсменъ. Общія основанія конституціоннаго права, ц. 1 р. 75 к.

Теорія и тактика англійскаго трудъюніонизма, ц. 5 р.

Мишель. Идея государства. Критическій очеркъ, ц. 2 р. 50 к.

Туганъ-Барановскій. Русская фабрика въ прошломъ и настоящемъ, ц. 3 р. 50 к.

Сборникъ статей. Нужды деревни, ц. 3 р. 50 к. (1—1).

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო სავაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსისა), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას სასწავლო ხერხით? , 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებსა.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. ბ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.

(14—5) **ალ. ბ. საათაშვილი.**

გავალე რესტორანი

„სამშობლო“

(ყოფილი ლუდხანა „სამადლო“).

მამა-დავითის მთაზე „ფუნიკულერი“-ს უკან, ხელ-მარცხნივ, სადაც იყიდება ნამდვილი კახური ღვინო, ცივი ლუდი, კრუშკით და კვარტით, და ყველა მაგარი სასმელი საუკეთესო ფირმებისა. იქვეა სამზარეულო, სადაც მზადდება კავკასიური „ბასტურმის მწვადები“ და ყველა გრილი საჭმელი. ფასი ყველაფერზე ისეთია, რომ მადლობელი დამრჩება პატივცემული საზოგადოება.

(3—97—2) პატივცემით **მენაბე ერაძე.**

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული გელზოლდტ ლოკში გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—9)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მე-3, 4 და 5 საპოლიციო ნაწილებში საჭიროა 25—30 ოთახიანი სადგომი ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოსათვის. ვისაც ჰსურს სახლის გაქირავება ამ სამკურნალოსათვის, კეთილ ინებოს და ქალაქის გამგეობას წერილობით აცნობოს თავისი პირობები 16 აგვისტომდე. (ნ. 3—3).

იყიდება

სახლი ერთ სართულიანი ხუთი ოთახით 120 კვ. საჟენი, ნახალადევი ვოდოპროვოდის ქუჩა № 165.

(3—2) ნ. მაკაცარია.

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—19)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, ა. ჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—13)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო საქმეებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 იოქოევისა. (30—14)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებსა ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მწრაფლ-მაღლები და სანდალიები. უკეთესი ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის

საქონლისა სწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავლად

ტყავეულობა

რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (60—5.—58)